

<https://doi.org/10.52340/gbasb>

ISSN 2233-3606 (print)
ISSN:2960-981X (online)

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF BUSINESS SCIENCES

საერთაშორისო რეზერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

მოამბე

50

MOAMBE

**INTERNATIONAL PRECISED AND REVIEWED
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE**

თბილისი 2023 TBILISI

საქართველოს ბიზნესის
მეცნიერებათა აკადემია
ვილიჯეთი დამდეგ
ახალ წელს



გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი, ალ ყაზბეგის გამზირი №47
„MERIDIANI“ publishing house
Tbilisi, al. Kazbegi ave. 47
E-mail: info@meridianipub.com

<https://doi.org/10.52340/gbasb>

ISSN 2233-3606 (print)
ISSN:2960-981X (online)

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF BUSINESS SCIENCES

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

მოამბე
50
MOAMBE

**INTERNATIONAL PRECISED AND REVIEWED
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE**

თბილისი 2023 TBILISI

**„მოამბე“ გამომცემის 1995 წლიდან
„MOAMBE“ IS PUBLISHED SINCE 1995**

სტატიები მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალის სტრიქონებს შორის 1.5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა 2.5 და 2.5 სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG ფორმატში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კოორდინატები (ტელეფონები, ელ-ფოსტა).
3. სტატიას უნდა ახლდეს სტატიის სათაური და რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. რეზიუმე უნდა იყოს მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12, სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ნებისმიერ უცხო ენაზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა რეზიუმე მოგვანოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიების გადმოგზავნა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

temur.babunashvili@mail.ru; mariizoria@mail.ru;

ტელეფონები: 593 23 99 58; 593 95 92 47

ვებ-გვერდი: www.sbma.ge

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines – 1.5; borders in right and left side – 3 and 2 sm. Also, up and down borders – 2,5 and 2,5 sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEG. The minimal size of article is Spages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail).
3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font – 12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in any foreign language. So, it is also our request to prepare rezi-ume in Georgian and English languagues too.

E-mail: temur.babunashvili@mail.ru; mariizoria@mail.ru;

Tel: 593 239 958; 593 959 247

www.sbma.ge

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია დაფუძნდა 1995 წლის 23 მარტს. აკადემია საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციის ბაზარა 1995 წლის 9 აპრილს, რეგისტრაციის სერტიფიკატის №1982

THE GEORGIAN ACADEMY OF BUZINESS SCIENCES WAS ESTABLISHED ON MARCH 23, 1995. THE ACADEMY WAS REGISTERED ON APRIL 9, 1995 BY MINISTRY OF GEORGIA (CERTIFICATE #1982)

მთავარი რედაქტორის მიმართვა ჟურნალ მოამბის ახალ სტატუსთან
დაკავშირებით

პატივცემულო სარედაქციო კოლეგის წევრებო, სამეცნიერო სტატიების ავტორებო და ჩვენი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „მოამბის“ მკითხველთა ფართო წრის წარმომადგენლებო, მაქვს პატივი მოგილოცოთ ჩვენი ჟურნალის საერთაშორისო სტატუსის ახალ საფეხურზე აღზევება, სულ ცოტა ხნის წინ ჟურნალ მოამბეს მიენიჭა „დოის ინდექსი“, ასევე ყველა გამოქვეყნებულ სტატიას ინდივიდუალურად მიენიჭება დოის ინდექსი და ეს ინფორმაცია განთავსდება ქვემოთ ჩამოთვლილ ინდექსაციის რეგისტრირებულ ბაზებში:

- SCILIT INDEXING DATABASE
- ACADEMIC RESOURCE INDEX/RESEARCHLIB
- WORLDCAT.ORG
- INTERNATIONAL SCIENTIFIC INDEXING
- COSMOS IMPACT FACTOR
- SCIENTIFIC JOURNAL IMPACT FACTOR
- INDEX COPERNICUS INTERNATIONAL
- GOOGLE SCHOLAR
- EUROPUB

მინდა გაცნობოთ, რომ ჟურნალ მოამბეს ასევე მიენიჭა ელექტრონული ISSN ვერსია. ჟურნალის დოის ინდექსია: <https://doi.org/10.52340/gbasb>

ხოლო ISSN-ებია:

ISSN:2233-3606 (print) და ISSN:2960-981X (online)

ასევე ინფორმაციის გაცნობა შეგიძლიათ ჩვენს „Facebook გვერდზე „საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია“ -

<https://www.facebook.com/profile.php?id=100066389803059> .

ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ პირს ან ორგანიზაციას შეგიძლიათ დამიკავშირდეთ მობილურ ტელეფონზე : 593239958 ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: temur.babunashvili@mail.ru

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის სახელით გამოვთქვამ მზაობას ურთიერთ თანამშრომლობის გაგრძელებასთან დაკავშირებით ახალ პირობებზე.

პატივისცემით,
ჟურნალ მოამბის მთავარი რედაქტორი
და სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, ქ.თბილისის საპატიო მოქალაქე
თეიმურაზ ბაბუნაშვილი

**ADDRESS OF THE EDITOR-IN-CHIEF
REGARDING THE NEW STATUS OF “MOAMBE” JOURNAL**

Dear editorial board members, authors, and representatives of a wide circle of readers of our international scientific journal “Moambe”! I have the honor to congratulate you on the rise of our magazine to a new level of international status. The journal was recently awarded a Digital Object Index (DOI). Also, all articles published in it will be individually assigned a DOI and this information will be placed in the following indexing bases:

- SCILIT INDEXING DATABASE
- ACADEMIC RESOURCE INDEX/RESEARCHLIB
- WORLDCAT.ORG
- INTERNATIONAL SCIENTIFIC INDEXING
- COSMOS IMPACT FACTOR
- SCIENTIFIC JOURNAL IMPACT FACTOR
- INDEX COPERNICUS INTERNATIONAL
- GOOGLE SCHOLAR
- EUROPUB

Journal DOI: <https://doi.org/10.52340/gbasb>

Print version ISSN:2233-3606

Electronic version ISSN:2960-981X

Information can be found on the “Georgian Academy of Business Sciences” Facebook page - <https://www.facebook.com/profile.php?id=100066389803059>

All interested individuals or organizations can contact me by mobile phone at 593-23-99-58, or via e-mail: temur.babunashvili@mail.ru

On behalf of the editorial board of our magazine, I express my readiness to continue cooperation under new conditions.

Sincerely,
Editor-in-Chief of “Moambe” magazine,
Chairman of the editorial board,
Doctor of Economic Sciences, Professor
Teimuraz Babunashvili

„მოამბე“

საერთაშორისო რეზერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო ჟურნალი, №50, 2023 წელი

თეიმურაზ ბაბუნაშვილი- მთავარი რედაქტორი და სარე-
დაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს ბიზნესის
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,
ქ. თბილისის საპატრიო მოქალაქე.

სარედაქციო კოლეგია მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები

აბდუშელიშვილი გივი, აბესაძე რამაზი, აბრალავა ანზორი, არნანი თამ-
ილა, ბაბუნაშვილი გიორგი (აშშ), ბაკაშვილი ნიკოლოზი, ბარათაშვილი ევ-
გენი, ბერიძე თეიმურაზი, გვალია ნარგიზი, გომოხია რევაზი, გველესიანი
მერაბი, გეგუაია ვადერი, ელიაშვილი, თურნავანათია, იზორია მარინა, კოჭ-
ლაშაშვილი ლელა, კურტანიძე დავითი (აშშ), კვალაშვილი ვაჟა, ლაბ-
არტყავა გულთაზი, ლოხაშვილი გივი, ლეკაშვილი ეკა, მელაქსეიძე, მძე-
ვაშვილი ელგუჯა, ნარმანი დავითი, პაიჭაძე ნუგზარი, როკატლიშვილი
მიხეილი (აშშ), სილაგაძე ავთანდილი (საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აკადემიკოსი), სოლომონიშვილი დალი, უბრახელიძე მინდია, ქარჩავა ლიონი,
ქეშელაშვილი ომარი, ქუთათელაძე რუსუდანი, ყიფიანი გელა, ყურაშ-
ვილი გუგული, შენგელია თეიმურაზი, შენგელია რევაზი, ჩაბელიშვილი
ლალი, ჩაქვაშვილი მაია, ჩიხლაძე ნიკო, ჭითანავა ნოდარი, ჭუმბურიძე
მამია, ხელაშვილი იოსებო, მამედოვი ფიზული (აზერბაიჯანის რესპუბლიკა),
მელნიკი ტატიანა (უკრაინა), სერძიანი ნიკი (სომხეთი), ალირზაევი ალი
(აზერბაიჯანის რესპუბლიკა), ბორზდოვა ტატიანა (ბელორუსია), ალუხანოვი
ესპერანა (ყაზახეთის რესპუბლიკა), ბალინა ლოპუშინა (უკრაინა), ზალენი-
ნი ინგა (ესტონეთი), ვლოჟენკო ნატალია (უკრაინა), მიხაილ ვარჩოლა (სლოვა-
კეთი), ბალინა კუზმენკო (უკრაინა), ტაღუშ ტროციკოვსკი (პოლონეთი). ანა-
ტოლი შივჩუკი (რუსეთი), იაცეკ სტროჟნი (პოლონეთი), ალიონა ალინიკოვა
(უკრაინა), ევგენი შუკოვი (რუსეთი), მანტაშტას რასკაუსკას (ლიეტუვა), ვიძ-
ტორია ბრიგალივანაიტი (ლიეტუვა).

შეიქმნა რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდას ავტორის აზრს

№50, 2023 წელი

„MOAMBE“
QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC MAGAZINE,
PRECISED AND REVIEWED №50, 2023

TEIMURAZ BABUNASVILI- Editor-in-Chief and Head of Editorial Board,
Doktor of Economic Science, President of
Georgian Academy of Business Science,
Honored citizen of Tbilisi

E EDITORIAL BOARD
Doctors of science, Professors

ABDUSHELISHVILI GIVI, ABESADZE RAMAZI, ABRALAVA ANZORI, ARNANIA TAMILA, BABUNASHVILI GIORGI (USA), BAKASHVILI NIKOLOZI, BARATASHVILI EVGENI, BERIDZE TEIMURAZI, GVALIA NARGIZI, GOGOKHIA REVAZI, GVELESIANI MERABI, GECHBAIA BADRI, ELIAVA LIA, TURNAVA NATIA, IZORIA MARINA, KURTANIDZE DAVITI (USA), KUTATELADZE RUSUDANI, KVALIASHVILI VAJA, LABARTKAVA GULTAZI, LOBJANIDZE GIVI, LEKASHVILI EKA, MELADZE SERGO, MEQVABISHVILI ELGUJA, NARMANIA DAVITI, PAICHADZE NUGZARI, ROKETLISHVILI MIKHEILI (USA), SILAGADZE AVTANDILI (Member of Georgian national Academy of Science), SOLOGASHVILI DALI, UGREKHELIDZE MINDIA, KARCHAVA LOIDI, KESHELASHVILI OMARI, KIFIANI GELA, KOCHLAMAZASHVILI LELA, KURASHVILI GUGULI, SHENGELIA TEIMURAZI, SHENGELIA REVAZI, CHAGELISHVILI LALI, CHECHELASHVILI MAIA, CHIKHLADZE NIKO, CHITANAVA NODARI, CHUMBURIDZE MAMIA, KHELASHVILI IOSEBI, MAMEDOVI FIZULI (AZERBAIDJAN), MELNIKI TATIANA (UKRAINA), SERKHAIANI NAIKI (ARMENIA), ALIRZAEVI ALI (AZERBAIDJAN), BORZDOVA TATIANA (BELORUSIA), ALUKHANOVI ESBERGI (KAZAKHSTAN), GALINA LOPUSHNIAK (UKRAINA), ZALENIENI INGA (ESTONIA), VDOVENKO NATALIA (UKRAINA), VARCHOLA MICHAL (SLOVAKIA), GALINA KUZMENKO (UKRAINA), TADEUSZ TROCIKOWSKI (POLAND), ANATOLI SHEVCHUK (RUSSIA), IACEK STROJNI (POLAND), ALIONA ALENIKOVA (UKRAINA), EVGENI DJUKOV (RUSSIA). MANTAUTAS RASKAUSKAS (LITHUANIA), VIKTORIA GRIGALIVANAITE (LITHUANIA).

შინაარსი

1. ნინო გვადლიშვილი	9
სკოლის პერსონალის მართვის სპეციფიკა და თავისებურებანი	
2. დავით სტურუა	14
საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რეფორმების შედეგებითი მენეჯმენტი	
3. ვალვა ურიადგყოფელი	24
ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული სოციალური პირობების მარკუზულირებალი დირექტივების მიმოსილვა საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში	
4. ირინე ყაჭიური, მაია გარბაქაქა, გელა ყიფიანი	30
ამნე სატრანსპორტო მანქანების დინამიკური კვლევა	
5. ლევან გუგუთიშვილი, ფატიმა ვერულაშვილი, ანა ტაბატაქა	40
სეისმური ზემოქმედების დროს ნყვეტილპარამეტრიანი კონსტრუქციების გაანგარიშება მდგრადობაზე	
6. ГУРАМ МАРХУЛИЯ	46
ГЕОПОЛИТИЧЕСКИЕ МОТИВЫ МЕЖЭТНИЧЕСКИХ КОНФЛИКТОВ В ШРИ-ЛАНКЕ	
7. მარინა იზორია	55
ჩინეთის გეოსტრატეგიული მიზნები აფრიკაში - ურთიერთობა ზიმბაბუვესთან	
8. მაია ჭანტურია, ალექსანდრა მამარდაშვილი	62
სამშენებლო პროდუქტის ხარისხის შეფასების მაჩვენებლები მომხმარებელთა კვლევა	

CONTENTS

1. NINO MCHEDLISHVILI	9
SPECIFICS AND FEATURES OF SCHOOL PERSONNEL MANAGEMENT	
2. DAVIT STURUA	14
COMPARATIVE MANAGEMENT OF PRIMARY HEALTH CARE REFORMS IN GEORGIA	
3. SHALVA URIADMKOPELI	24
SOCIATION AGREEMENT WITH THE EUROPEAN UNION IN THE FIELD OF ROAD TRANSPORT	
4. IRINE KHATCHIURI, MAIA BARBAKADZE, GELA KIPIANI	30
DYNAMIC STUDY OF CRANE VEHICLES	
5. LEVAN BUBUTEISHVILI, FATIMA VERULASHVILI, ANA TABATADZE	40
CALCULATION OF STABILITY OF CONSTRUCTIONS WITH INTERMITTENT PARAMETERS DURING SEISMIC IMPACT	
6. GURAM MARKHULIA	46
GEOPOLITICAL MOTIVES OF INTERETHNIC CONFLICTS IN SRI LANKA	
7. MARINA IZORIA	55
CHINA'S GEOSTRATEGIC AIMS IN AFRICA - RELATIONS WITH ZIMBABWE	
8. MAIA CHANTURIA, ALEXANDRA MAMARDASHVILI	62
INDICATORS OF CONSTRUCTION PRODUCT QUALITY ASSESSMENT CONSUMER RESEARCH	

სკოლის პერსონალის მართვის სპეციფიკა და თავისებურებანი

ნინო მჭედლიშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის დოქტორანტი

DOI: <https://doi.org/10.52340/gbsab.2024.50.02>

საკვანძო სიტყვები: პერსონალის მართვა, განათლება, პედაგოგიური პერსონალი, პერსონალი, განათლების პოლიტიკა.

განათლების სფეროში თანამედროვე პოლიტიკა საგანმანათლებლო ორგანიზაციებისგან მოითხოვს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, კურსდამთავრებულთა მზაობას საზოგადოების ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის. მოდერნიზაცია და ინოვაციური განვითარება წარმოადგენს ერთადერთ გზას, რომელიც საქართველოს საშუალებას მისცემს გახდეს კონკურენტუნარიანი საზოგადოება XXI-ე საუკუნის სამყაროში, უზრუნველყოს ღირსეული ცხოვრება ყველა ჩვენი მოქალაქისთვის. ამ სტრატეგიული ამოცანების გადაჭრისას პიროვნების ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებებია ინიციატივის, შემოქმედებითად აზროვნების და არასტანდარტული გადაწყვეტილებების მოძიების, პროფესიული გზის არჩევის უნარი და სწავლის სურვილი მთელი ცხოვრების განმავლობაში. ყველა ეს უნარი ბავშვობიდან ყალიბდება.

წინამდებარე სტატიის მიზანია თანამედროვე სკოლის პერსონალის მართვის სპეციფიკის გამოვლენა. განათლების თანამედროვე მოდელი ორიენტირებულია ინოვაციური განვითარების პრობლემების გადაჭრაზე. განათლება ითვალისწინებს: მოქნილობას და მომსახურების გაწევის ფორმების მრავალფეროვნებას; ოჯახების საგანმანათლებლო პოტენციალის მხარდაჭერას და უფრო სრულყოფილ გამოყენებას, ინდივიდუალიზაციას, პრაქტიკულ და ფუნდამენტურ უნარებზე ყურადღების გამახვილებას.

განათლების სისტემის რეფორმის პროცესში გამოვლინდა ახალი მოთხოვნები ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პირობების მხრივ. სასწავლო პროცესის მონაწილეებმა უნდა უზრუნველყონ საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგების პროფესიული და შემოქმედებითი პოტენციალის შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენება, მათი პროფესიული, საკომუნიკაციო, საინფორმაციო და იურიდიული კომპეტენციების ამაღლება; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტიანი მართვა.

ამ პროცესებში მნიშვნელოვანია პროფესიული კომპეტენცია, რომელიც ეფუძნება მასწავლებლებისა და მენეჯერების პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას. განათლების განახლების პროცესის დაპროექტება, ამუშავება და მხარდაჭერა იქნება უფრო ეფექტიანი, რამდენადაც საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზატორები დაეყრდნობიან სამეცნიერო მიღწევებს და საზოგადოების მოთხოვნებს.

როგორც თანამედროვე მკვლევრები აღნიშნავენ, პედაგოგიური კოლექტივის მართვის ეფექტიანობა პირდაპირ კორელაციაშია ხელმძღვანელის მიერ მისი თანამშრომლების ფსიქოლოგიის ცოდნასთან და მის ინტერპერსონალური

კომუნიკაციის უნართან. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს ბიზნეს კომუნიკაციის ეთიკის საფუძვლები, შეძლოს დარწმუნება და თანამშრომლების მოტივირება თითოეული მათგანის ფსიქოლოგიური პიროვნული თავისებურებების გათვალისწინებით. დირექტორის თანამდებობაზე მყოფი ადამიანის მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის სოციალურ პარტნიორებთან ურთიერთობა.

ნებისმიერი გარდაქმნები უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ადამიანთა ჯგუფებთან, ე.წ. პედაგოგიურ კოლექტივებთან. კვლევები გვიჩვენებს, რომ მხოლოდ პროფესიონალურად ჩამოყალიბებულ პედაგოგიურ კოლექტივში, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს წყალობით, იქმნება პირობები მისი თითოეული წევრის ეფექტიანი საქმიანობისთვის, რაც ხელს უწყობს გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

საგანმანათლებლო პრაქტიკაში არსებობს წინააღმდეგობები განათლების თანამედროვე მოდელის პირობებში კადრების განვითარების აუცილებლობასა და ინსტიტუციურ დონეზე ამ პროცესის არასაკმარისად ეფექტიან მართვას შორის.

პედაგოგიური კოლექტივი, მიუხედავად იმისა, რომ მას გააჩნია მთელი რიგი სპეციფიკური თავისებურებები, რა თქმა უნდა წარმოადგენს მართვის ობიექტს პერსონალისა და რესურსების მართვის ზოგადთეორიული პოზიციებიდან გამომდინარე. ადამიანური რესურსების მართვა გულისხმობს ადამიანის განვითარების მექანიზმების, მისი შესაძლებლობების გამოვლენას, როგორც სუბიექტისა, რომელიც მუდმივ კავშირშია მიმდებარე სოციალურ გარემოსთან. პედაგოგიური კადრების შერჩევის და კადრების ხარისხის პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა, პროფესიული მომზადების საკმარისი დონე და მაღალი კვალიფიკაცია - ყველა ეს ასპექტი მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებისთვის.

დღეისათვის ჩამოყალიბდა გარკვეული წინაპირობები სკოლის მართვის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემის გადაჭრის გზების მეცნიერულად დასაბუთებისთვის. ამრიგად, შეიქმნა განათლების მართვის თეორიის ზოგადი საფუძვლები. ისინი გაშუქებულია თანამედროვე ქართველი მკვლევრების ნაშრომებში. მათში გამოვლენილია საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ძირითადი მეცნიერული კატეგორიები, არსი და პრინციპები.

მართვა წარმოადგენს შრომას, რომელიც განსხვავდება სხვა საქმიანობისგან. მმართველობითი საქმიანობის ძირითადი ფსიქოლოგიური მახასიათებლებია:

□ ფსიქიკური დამაბულობა, რომელიც გამოწვეულია დიდი პასუხისმგებლობით გადაწყვეტილების მიღების დროს;

□ მმართველობითი იერარქიის ყველა დონეზე საქმიანობის მრავალმხრივი აქტივობები;

□ საკომუნიკაციო ფუნქციის დიდი როლი.

მმართველობით საქმიანობაში ხელმძღვანელს მოეთხოვება მრავალფეროვანი მმართველობითი საქმიანობის და ქმედებების განხორციელება.

ასეთი სამუშაოების სპეციალიზირებულ სახეობებს მართვის ფუნქციები ეწოდება. ფუნქციები მართვის ძირითად კატეგორიას წარმოადგენენ, რადგან ისინი აერთიანებენ მმართველობითი საქმიანობის პრინციპებს, მეთოდებს და შინაარსს.

ზოგადი ფუნქციები ეხება ნებისმიერი სფეროსა და საქმიანობის მართვას. მმართველობითი საქმიანობის ზოგად ფუნქციებს მიეკუთვნება:

- 1) მიზნების დასახვა;
- 2) დაგეგმვა;

- 3) ორგანიზება;
- 4) კოორდინაცია (რეგულირება);
- 5) სტიმულირება;
- 6) კონტროლი .

მიზნების დასახვის ფუნქცია წარმოადგენს საქმიანობის ძირითადი, მიმდინარე და სამომავლო მიზნების შემუშავებას. ხელმძღვანელისთვის მნიშვნელოვანი უნარია მიმდინარე ქმედებებისა და სტრატეგიების კორექტირება. ამრიგად, ხელქვეითთა საქმიანობის მართვის საფუძველს წარმოადგენს მათთვის მიზნის საუკეთესოდ დასახვის უნარი. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პერსონალის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებას. თანამშრომლების სტიმულირებას და მოტივაციას კონკრეტული საქმიანობის შესასრულებლად.

საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური პერსონალის განსაზღვრა, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შრომითი კოლექტივის ორგანიზებული ნაწილის, რომელიც შედის მის მიერ განხორციელებული პედაგოგიური ფუნქციების პროცესში და წარმოადგენილია მასწავლებლებით, პედაგოგ-ფსიქოლოგებით, აღმზრდელებით, კლასის დამრიგებლებით და ა.შ. ასევე თავად სკოლის ადმინისტრაციით. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციონირების სპეციფიკა განაპირობებს პერსონალის მართვისადმი როგორც ტრადიციული ზოგადი მართვის მიდგომების, ასევე სპეციალური მიდგომების შერწყმას, რაც, პირველ რიგში აიხსნება სკოლის მიერ განხორციელებული პედაგოგიური ფუნქციებით.

ვინაიდან სკოლის პერსონალი უპირატესად პედაგოგებია და მისი წევრების მახასიათებლებსა და ქცევაზე გავლენას ახდენს საქმიანობის ეს კონკრეტული სპეციფიკა (სწავლება, განათლება, აღზრდა, საკუთარი ქცევის მაგალითის მიცემა და ა.შ.), ბუნებრივია სკოლის პერსონალის მართვის პედაგოგიური პირობების გათვალისწინება. ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ გარემოებას, რომელიც განსაზღვრავს მმართველობითი საქმიანობის წარმატებას, რომელიც განპირობებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების სპეციფიკით და მის ფარგლებში განხორციელებული პედაგოგიური ფუნქციებით. ეს კი გულისხმობს, რომ სკოლის ხელმძღვანელი მისი თანამშრომლების ცნობიერებაზე და ქცევაზე ზემოქმედების ფაქტორს ითვალისწინებს.

მმართველის პიროვნების სპეციფიკური თავისებურებებს მიეკუთვნება სპეციალური უნარები, ცოდნა, კომპეტენცია და ინფორმირებულება. ყველაზე ხშირად აღნიშნული თვისებები, რომლებიც განსაზღვრავს მართვის ეფექტიანობას, არის: დომინირება, თავდაჯერებულობა, ემოციური ბალანსი, სტრესისადმი მდგრადობა, მიზნის მიღწევის სურვილი, კრეატიულობა, სამეწარმეო სული, პასუხისმგებლობა, სანდოობა, დამოუკიდებლობა, კომუნიკაბელურობა, გონებაგახსნილობა, გლობალური მიდგომა, სტრატეგიული ხედვა, მონდომება, შრომისმოყვარეობისა და უწყვეტი სწავლის აუცილებლობა, მიზნების მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარი და სხვისი აზრის მოსმენის სურვილი, მიუკერძოებლობა, ლოიალობა, თანამშრომლების შესაძლებლობების სრულად გამოყენების უნარი და გუნდის ჩამოყალიბების და შეკვრის უნარი, რომელშიც ჰარმონიული ატმოსფეროა, სარისკო გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის აღების სურვილი. ასევე მუშაობისადმი კრეატიული მიდგომა. დროის სწორად გამოყენება, საკუთარი თავის და პერსონალის მოტივაცია, კარგად მომზადებული პერსონალის სათავეში მუშაობის სურვილი.

აღსანიშნავია ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის თანამშრომლების ეფექტიან საქმიანობას:

- ხელმძღვანელის ორგანიზაციული და პიროვნული ღირებულებებისა და მიზნების შეუსაბამობა;
- ხელმძღვანელის მმართველობითი შესაძლებლობების არასაკმარისი დონე;
- გუნდის მართვის უუნარობა;
- საკუთარი თავის მართვის უუნარობა;
- მმართველობითი საქმიანობის სფეროში ხელმძღვანელის უნარებისა და შესაძლებლობების ნაკლებობა;
- ხელმძღვანელის საქმიანობაში კრეატიულობის ნაკლებობა;
- არამეგობრული დამოკიდებულება პერსონალის მიმართ;
- პიროვნული ზრდის სურვილის ნაკლებობა;
- პერსონალის მოტივაციის შეუძლებლობა;
- კრეატიულობის ნაკლებობა სამუშაოში;
- ხელმძღვანელის ქცევაში ნევროზული ტენდენციების არსებობა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მართვის ეფექტიანობა დამოკიდებულია ხელმძღვანელის მიერ თავის საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების ოპტიმალურ გამოყენებაზე. მმართველობითი ტექნოლოგიების შერჩევა განპირობებულია იმ მეთოდოლოგიური მიდგომებით, რომლებიც ამჟამად ჩამოყალიბებულია მართვაში: სისტემური, ოპტიმიზაციური, აქტიური, ადამიანზე ორიენტირებული, მოტივაციური, სიტუაციური, სინერგიული, რეფლექსური. ამ მიდგომების გამოყენება ხელს უწყობს ინფორმირებულობისა და მოტივაციის მაღალი ხარისხით სკოლის ყველა ქვესისტემის საქმიანობის ერთიანობის ხარისხის უზრუნველყოფას.

სკოლის ხელმძღვანელის მმართველობითი კომპეტენცია, როგორც მისი ადამიანური და პროფესიული პოტენციალის რეალიზაციის საზომი მიმართულია ისეთი სამეცნიერო სამუშაოს შექმნასა და განხორციელებაზე, როგორცაა სასკოლო სისტემის მართვა.

განათლების ახალი მიზნების მიღების გააზრება, მოსალოდნელი კონკრეტული შედეგის ცოდნა წარმოადგენს პედაგოგიური კოლექტივის მოტივაციის მთავარ პირობას. კოლექტივის მდგომარეობის ანალიზი, საქმიანობის მოტივების გააზრება, მისი პროფესიული ზრდის სტიმულირება, პირობების შექმნა შემოქმედებითობისა და საბოლოო მიზნების მისაღწევად წარმოადგენს პირველ ნაბიჯს ინოვაციური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მართვაში. მენეჯმენტის თითოეული ფუნქცია განიხილება, როგორც შემდგომი ალგორითმული ნაბიჯი ინოვაციური სკოლის მართვის ციკლში.

თანამედროვე სკოლის მართვის პრაქტიკაში მუშავდება მართვის სხვადასხვა მოდელი. თუმცა, შემოთავაზებული ვარიანტების ანალიზმა დაგვანახა, რომ ეს მოდელი ვერ უზრუნველყოფს მისი ზემოქმედების კომპლექსურობას განათლების ხარისხზე, არ ითვალისწინებს რიგ ახლად აღმოჩენილ ფაქტორებს და საგანმანათლებლო სიტუაციის რიგ მახასიათებლებს.

დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური პერსონალის მართვა ეფექტიანი იქნება, თუ უზრუნველყოფილი იქნება ისეთი მართვის პედაგოგიური პირობები, როგორცაა: პიროვნებაზე ორიენტირებული, ჰუმანისტური, ადამიანზე ორიენტირებული მიდგომების ერთობლიობა მასწავლებელთა მართვაში; მენეჯმენტში პედაგოგიური თანამშრომლობისა და ურთიერთქმედების პრინციპი; პედაგოგებში დადებითი ფსიქოლოგიური კლიმატის ჩამოყალიბება; მასწავლებელთა

პროფესიული ზრდის პირობების უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, განათლების მეცნიერებასა და პრაქტიკაში ბოლო დროს გადაიხედა ისეთი კატეგორიები, როგორცაა განათლების მიზნები, სკოლის მისია და ფუნქციები და ა.შ. წამყვანი ადგილი დაიკავა განათლების ხარისხის პრობლემამ. განათლების ხარისხზე პასუხისმგებლობის აღებისას საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემამ უნდა იცოდეს, რომ მისი მთავარი ამოცანა არა ხარისხის კონტროლი, არამედ მისი პირობების უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Government of Georgia (2004, October 18). საქართველოს მთავრობის დადგენილება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ. Matsne.Gov. Ge. Retrieved September 3, 2022, from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0>
2. Government of Georgia (2020, June 26). საქართველოს მთავრობის დადგენილება №390 „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“. Matsne.Gov. Ge. Retrieved September 3, 2022, from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4907094?publication=0>
3. State Audit Office of Georgia (2021, March) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების 2017–2019 წლების ეფექტიანობის ანგარიში. sao.ge. <https://sao.ge/Uploads/2021/4/მასწავლებელთა%20>
4. ჭანტურია გ., ქადაგიძე მ., & მელიქაძე გ. (2020) სასკოლო განათლების ისტორია 1990–2020. <http://efageorgia.ge/wp-content/uploads/2021/06/განათლების-ისტორია.pdf?fbclid=IwAR3NqfhyWIH2FZKD9BEHCvO-2Ov7e9TOd3ZfaqL9L0FnIHjyQ3R6gPsxCZA>

რეზიუმე

სტატიაში ევოლუციური ტენდენციების კონტექსტში განათლების სფეროში საგანმანათლებლო დაწესებულების მოდერნიზაციასთან დაკავშირებით განხილულია პედაგოგიური პერსონალის მართვის ცნება. ასევე, თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით, ყურადღება გამახვილებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის მართვის სისტემაზე, რაც საკმაოდ საინტერესო დასკვნების გამოტანის და პერსპექტივების შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

SPECIFICS AND FEATURES OF SCHOOL PERSONNEL MANAGEMENT

Nino Mchedlishvili

Doctoral Student at Georgian Technical University

The article deals with the concept of management of teaching staff of educational institutions in the context of evolutionary trends in the field of education in connection with its modernization. It is said that looking at the work of the head of the educational institution with his staff through the prism of modern management science, you can make quite interesting conclusions and build prospects.

Keywords: personnel management, education, teaching staff, personnel, policy in the field of education.

საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რეფორმის შეღარიბებით მენეჯმენტი

დავით სტურუა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს ადმინისტრირების
აკადემიური დოქტორი

DOI:<https://doi.org/10.52340/gbsab.2024.50.04>

საკვანძო სიტყვები: პირველადი ჯანდაცვა; ჯანდაცვის რეფორმა; საოჯახო მედიცინა; ოჯახის ექიმი; სოფლის ექიმი.

შესავალი. ჯანდაცვა მომსახურების (სერვისის) სფეროს მიეკუთვნება. განსხვავებით მომსახურების სხვა სახეებისგან, მისი სოციალური დატვირთვა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. მას მთელი საზოგადოების ჯანმრთელი სიცოცხლის გახანგრძლივება ევალება. ამიტომ თუ სადმეა საჭირო დარგის სწორი., სრულყოფილი მართვა, ეს პირველ რიგში, არის ჯანდაცვის სფერო.

ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის წვდომა პირველადი ჯანდაცვიდან იწყება. დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის მთელ იერარქიულ კიბეზე პირველადი ჯანდაცვა ასრულებს ე. წ. მეკარიბჭის როლს. პაციენტთან პირველ კონტაქტს მისი დაწესებულებები - პოლიკლინიკები, ამბულატორები - ამყარებენ და ახორციელებენ, როგორც პრევენციულ პროცედურებს, ისე მკურნალობასაც.

1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობამოპოვებულმა საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო როგორც მართვის, ისე მკურნალობის მეთოდებით მეტად დაბალ დონეზე მდგარი ჯანდაცვის სისტემა, ცხადია, პირველადი ჯანდაცვაც. სისტემაში არ იყო კერძო სექტორი და აქედან გამომდინარე, არც კონკურენცია, იგრძნობოდა პროფესიონალი სპეციალისტების დეფიციტი, სამედიცინო პერსონალს არ ჰქონდა თვითგანვითარების სტიმული და მრავალი სხვა.

საქართველოს პირველად ჯანდაცვასი რეფორმა დაიწყო 1991 წლიდან და ნაწილობრივ დღესაც მიმდინარეობს. წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოში ამ რეფორმის (ანუ გარდაქმნის) მართვის შედეგები და იგი შედარებულია სხვა საბჭოურ ქვეყნებთან - ბელორუსიასთან, ყირგიზეთთან, აზერბაიჯანთან და სხვებთან.

ძირითადი ტექსტი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თითოეული პოსტსაბჭოთა ქვეყანა და მათ შორის საქართველოც გარკვეული რეფორმებით ცდილობდა პირველადი ჯანდაცვის სექტორის მოწესრიგება-გამლიერებას. თუ როგორი იყო რეფორმირების მიმდინარე მდგომარეობა ამ ქვეყნებში საწყის წლებში, ამას გვიჩვენებს ცხრილი 1.

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, რეფორმის საწყის წლებში საქართველოს და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები სხვადასხვა შედეგზე გავიდნენ. ყველა ამ ქვეყნებში მაშინ მუშობდნენ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“), მსოფლიო ბანკის და აშშ-ს სააგენტო - USAID-ის წარმომადგენლები, რომელთა მიერ მტკიცედ იყო გადაწყვეტილი ამ ქვეყნების პირველად ჯანდაცვაში საოჯახო მედიცინის მოდელის დანერგვა, რომლის მიზანი იყო მოსახლეობის ამბულატორული დახმარების პირველი საფეხურის როლის ამაღლება და ამ გზით

პაციენტების მეორეული და მესამეული სამედიცინო დახმარებაში „მეკარიბჭის“ როლის შესრულება. მაშინ გადაწყვეტილი იყო, რომ თორმეტივე ზემოაღნიშნულ ქვეყანაში, რომელთა შორის იყო საქართველოც, ჯანდაცვის რეფორმებში (და მასზე გაწეულ ხარჯებშიც) პრიორიტეტი უნდა მისცემოდა ხარისხიან სამედიცინო-სანიტარულ დახმარების შექმნას, ანუ ხარისხიან პირველად ჯანდაცვას [1]. ცხრილი 1 გვიჩვენებს, რომ 12 პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან საოჯახო მედიცინა 1993 წელს მთლიანად დანერგილია მოლდოვაში, ყირგიზეთში, სომხეთში. დანარჩენ ქვეყნებში, მ. შ. საქართველოში, იგი 1991 წლიდან 1997 წლამდე პერიოდში მხოლოდ ნაწილობრივ იყო დანერგილი. საქართველოზე მძიმე მდგომარეობა აღმოაჩნდა ტაჯიკეთს, ყაზახეთს და უზბეკეთს. იქ, იმ წლებში ოჯახის ექიმებად გადამზადდა მხოლოდ ექიმების მცირე ნაწილი. ბელორუსიაში, ტაჯიკეთსა და უზბეკეთში კი, გადამზადება არ მომხდარა. ზოგადად, საოჯახო მედიცინის დანერგვა ყველგან იყო დაწყებული, მაგრამ ეს პროცესი ნელა მიმდინარეობდა [2].

ცხრილი 1. რეფორმების მიმდინარეობა და საოჯახო მედიცინის დანერგვის მდგომარეობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

ქვეყანა	პერიოდი	რეფორმების მიმდინარეობის მდგომარეობა
საქართველო	1991-1997 წ.წ.	პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა საკადრო უზრუნველყოფა ურთიერთგანსხვავებულია. არიან ოჯახის ექიმებიც, საერთო პრაქტიკის ექიმებიც და ვიწრო სპეციალისტებიც. საოჯახო მედიცინა მთლიანად დანერგილი არ არის.
სომხეთი	1993 წ.	მთლიანად დანერგილია საოჯახო მედიცინა. პოლიკლინიკები სჭარბობენ ქალაქებში.
აზერბაიჯანი	2009 წ.	მთავრობა თვლის, რომ საოჯახო მედიცინა მომავალში შეცვლის ამბულატორულ დახმარებას.
ყირგიზეთი	1996 წ.	სამედიცინო-სანიტარული დახმარების დაწესებულებები გადაკეთდნენ საოჯახო მედიცინის ცენტრებად.
მოლდოვა	1998 - 2004 წ.წ.	სამედიცინო-სანიტარული დახმარების სისტემა მთლიანად გადავიდა საოჯახო მედიცინაზე.
რუსეთი	1992 წ.	რუსეთის არცერთ რეგიონში პირველად ჯანდაცვაში საოჯახო მედიცინა არ ჭარბობს.
უკრაინა	2013 წ.	2013 წლამდე მოსახლეობის 47,5%-ს ოჯახის ექიმები ემსახურებოდნენ.
უზბეკეთი	2001 წ.	სიფლის პირველადი ჯანდაცვის სისტემა დაკომპლექტებულია საერთო პრაქტიკის ექიმებით.
ტაჯიკეთი	1998 წ.	სოფლების სამედიცინო პუნქტებში მუშაობენ საერთო პრაქტიკის ექიმები.
ყაზახეთი	2004 წ.	საერთო პრაქტიკის ექიმების მცირე ნაწილი გადამზადდა ოჯახის ექიმებად.
ბელორუსია	1994 წ.	საერთო პრაქტიკის ექიმები მხოლოდ სოფლებში მუშაობენ.
თურქმენეთი	1995 წ.	ინფორმაცია არ არსებობს.

წყარო: Bernd Rechel, Erica Richardson, Martin Mckee. Trends in system in the Former Soviet countries. <https://www.euro.who.int/data/assets/pdf/fille/0019/261271/Trends-in-health-Systems-in-former:Soviet-Countries.pdf>

დადგენილია ისიც, რომ არც იმ საწყის წლებში და არც მას შემდეგ, დღესაც კი, ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსებაში პირველადი ჯანდაცვა პრიორიტეტი არ გამხდარა. სხვადასხვა კვლევებით აშკარა ხდებოდა, რომ ჯანდაცვის ბიუჯეტიდან ლომის წილი სავადმყოფოებს ხვდებოდა. ამაში მათ ლობისტები ეხმარებოდნენ [3].

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველოში, ყირგიზეთში, მოლდოვაში და უკრაინაში პირველადი ჯანდაცვის რეფორმები უფრო აქტიურად მიმდინარეობდა, ვიდრე რუსეთში, თურქმენეთში, ყაზახეთში, აზერბაიჯანსა და ბელორუსიაში. მათი უმრავლესობის სოფლის დასახლებებში გახსნილი იყო საექიმო პუნქტები, რომლებიც მინიმუმ ექთნით მაინც იყო დაკომპლექტებული, თანაც ისეთი ექთნით, რომელსაც გამოუვალ მდგომარეობაში, ანუ ექიმის არყოფნის შემთხვევაში, პაციენტისთვის შეეძლო გამოეწერა წამალი. ამ ფორმით სოფლის მოსახლეობის მკურნალობა ძირითადად ხდებოდა შუა აზიის რესპუბლიკებში. რაც შეეხება საქართველოს, სოფლის დასახლებებში ექიმებს მიეცათ ინდემწარმის სტატუსი და მათი მუშაობა ინდივიდუალური პრაქტიკით განისაზღვრა. იგივე მოხდა სომხეთში, ყირგიზეთში და მოლდოვაში. თუმცა, მოლდოვას გარდა, სამივე დანარჩენ ქვეყანაში, სოფლად მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება მთლიანად არ იყო გადასული ახალ მოდელზე და ნაწილობრივ ძველ მოდელთან ერთად ფუნქციონირებდა, ანუ მუშაობდა შერეული მოდელით. მაგალითად, საქართველოში პირველადი სამედიცინო-სანიტარული დახმარების ძველი ცენტრები პაციენტებს აძლევდნენ კონსულტაციებს, ახორციელებდნენ ვიზიტებს და კონტრაქტით მომუშავე ექიმ-სპეციალისტთან პაციენტის გაგზავნის გადამისამართებას, ეს მაშინ, როცა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ახალი სამედიცინო ცენტრები ქირობდნენ საერთო პრაქტიკის ექიმებს და უფრო ფართო სპექტრის სამედიცინო მომსახურებას უწევდნენ პაციენტებს [4].

კვლევები აჩვენებს, რომ საწყის წლებში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში და უზბეკეთში პაციენტებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ლიცენზირებული ინდივიდუალური პრაქტიკა არ არის დანერგილი. რუსეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში კი, იგი გავრცელებულია მხოლოდ სოფელ ადგილებში, ანუ ისე როგორც საქართველოში. უნდა ავღნიშნოთ, რომ ინდივიდუალური სამედიცინო პრაქტიკა არის საოჯახო მედიცინის ნაწილი და მისი დანერგვა გათვალისწინებული იყო ყველა ამ ქვეყნის ჯანდაცვის რეფორმირების პროგრამებში. საქართველოში იგი რეფორმის საწყის წლებშივე დაწყებულია, თუმცა, არამთლიანად და არასრულყოფილად, მაგრამ მთელ რიგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, უფრო სწრაფად. ეს დადებითად აფასებს ჯანდაცვის რეფორმირების მიმდინარეობას საქართველოში მაშინდელ წლებში. ამის მიუხედავად, დღეის მდგომარეობით როგორც ქალაქად, ისე სოფლად პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები ახლებურად, ანუ საოჯახო მედიცინის საწყისებზე მთლიანად გარდაქმნილი არიან არა საქართველოში, არამედ მოლდოვაში, სადაც პოლიკლინიკები და ამბულატორიები მთლიანად გადაკეთდნენ „საოჯახო ჯანმრთელობის ცენტრებად“, საქართველოში კი, ჩამოყალიბდნენ პოლიკლინიკა-ამბულატორიების გაერთიანებები, სავადმყოფო-პოლიკლინიკების გაერთიანებები, ზოგან კი, კვლავ ფუნქციონირებენ პოლიკლინიკები ან ამბულატორიები [5].

ზოგადად ჯანდაცვაში და მათ შორის პირველად ჯანდაცვაში ერთ-ერთი მაღალი მნიშვნელობის საკითხი იყო პაციენტისთვის ოჯახის ექიმის და ექიმ-სპეციალისტის ამორჩევის უფლების მიცემა. ამის მიუხედავად, საქართველოშიც და მთელ რიგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მთავრობის ეს პოლიტიკა არ ემთხვეოდა ადგილებზე გამოყენებულ პრაქტიკას. იქ სადაც პირველად სამედიცინო დაწესებულებებზე

პაციენტების მიმაგრების პრაქტიკა არსებობდა, პაციენტებს პოლიკლინიკებზე თუ ამბულატორიებზე ამაგრებდნენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასეთ დროს, ამ დაწესებულებებში ექიმის დიდი არჩევანის შესაძლებლობა არ იყო. თუ როგორ გატარდა რეფორმის ეს ღონისძიება საქართველოს პირველად ჯანდაცვაში და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჩანს მეორე ცხრილში.

ცხრილიდან ნათელი ხდება, რომ საქართველოს პირველად ჯანდაცვაში პაციენტს ოჯახის ექიმის ამორჩევის სრული უფლება მიეცა, ხოლო სპეციალისტის ამორჩევის - ნაწილობრივ. პაციენტები იშვიათად იყენებენ ამ უფლებებს უპირველესად იმიტომ, რომ ოჯახის ექიმების ამოსარჩევი „კრიტიკული მასა“ მცირეა და მეორე იმიტომ, რომ პაციენტებს არა აქვთ ინფორმაცია ექიმების ცოდნასა და კომპეტენციებზე.

ცხრილი 2. პაციენტების მიერ პირველადი რგოლის ექიმის და ექიმ-სპეციალისტის ამორჩევის უფლების არსებობა

ქვეყანა	პირველადი რგოლის ექიმის ამორჩევის უფლება	ექიმ-სპეციალისტის ამორჩევის უფლება
საქართველო	კი	კი (ნაწილობრივ)
სომხეთი	კი	არა
აზერბაიჯანი	კი	არა
ყირგიზეთი	კი	კი
მოლდოვა	კი	კი
რუსეთი	კი	არა
უკრაინა	კი	კი
უზბეკეთი	კი	კი
ტაჯიკეთი	კი	ნაწილობრივ
ყაზახეთი	კი	ნაწილობრივ
ბელორუსი	კი	არ არის ინფორმაცია
ტურქმენეთი	კი	არა

წყარო: Chanturidze T. Et Al. (2009). *Georgia: Health system Review Health system in Transition*. 11(8): 1-116; Richardson E. (2003). *Armenia: Health System Review. Health systems in Transition*. 15(4): 1-99; Boerma W. (2012). *Evaluation of the Structure and Provision of Primary Care in the Republic of Moldova: A survey-Based Project*. Copenhagen. Who Regional Office for Europe.

პირველადი რგოლის ექიმის (ოჯახის ექიმის) ამორჩევის უფლება ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნების პაციენტებს აქვთ, თუმცა, საქართველოს მსგავსად ისინი ამ უფლებას ნაკლებად იყენებენ. რაც შეეხება ექიმ-სპეციალისტის ამორჩევის უფლებას, ეს უფლებაც არსებობს, მაგრამ საქართველოს პაციენტები მას ნაწილობრივ იყენებენ. ამავე მდგომარეობაშია ყაზახეთი და ტაჯიკეთი. ამ უფლებას მთლიანად იყენებენ მოლდოვას, ყირგიზეთის, უკრაინის და უზბეკეთის პაციენტები. საერთოდ გამოყენება არა აქვს მას სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქმენეთში და რუსეთში. ამის მიზეზი კვლავაც არის პაციენტებისთვის ნაკლები ინფორმირებულობა ექიმების კომპეტენციების შესახებ.

პირველად ჯანდაცვის დაწესებულებებში რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ოჯახის ექიმის მეშვეობით პაციენტის ექიმ-სპეციალისტთან წვდომის დანერგვა.

ეს სისტემა თეორიულ დონეზე ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დაინერგა, გარდა რუსეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის და უზბეკეთისა. ამ ქვეყნებში პირველად ჯანდაცვის დაწესებულებებში გრძელდება პაციენტის სამედიცინო მომსახურების საბჭოური წესი (ე. წ. „სემეშკოს“ მოდელი), კერძოდ, პაციენტი, როგორც მაშინ, ამჯერადაც მიდის საერთო პრაქტიკის მქონე თავის მკურნალ ექიმთან, რომელიც როგორც წესი, თერაპევტია, და, შემდეგ მისი მიმართვით იღებს სამედიცინო მომსახურებას ამა თუ იმ ექიმ-სპეციალისტთან. ეს ხდება იმ ქვეყნებში, რომელთაც ექიმ-სპეციალისტთან წვდომის ე. წ. „გეიდკიპინგის“ სისტემა ოფიციალურად არ აქვთ აღიარებული. ამ პროცესს ნორმალურად მიიჩნევენ ამ ქვეყნების პაციენტები [6]. დანარჩენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში, „გეიდკიპინგის“ სისტემა ოფიციალურად აღიარდა (იხ. ცხრილი 3). ამის მიუხედავად, პაციენტები არჩევენ გვერდი აუარონ ოჯახის ექიმს და პირდაპირ მიაკითხონ ექიმ-სპეციალისტს, ანდა პირდაპირ სტაციონარს (საავადმყოფო). ასე ხდება საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში და თურქმენეთში [5]. ასეთ შემთხვევებს აქვს ადგილი მოლდოვასა და ყირგიზეთშიც, ანუ იმ ქვეყნებში, რომლებიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან საოჯახო მედიცინაზე გადასვლის ნიმუშად არიან აღიარებული [7]. პაციენტების ასეთმა თვითნებურმა ქცევამ გამოიწვია პაციენტებისთვის ჭარბი სტაციონალური მომსახურების გაწევა, ანუ ისეთი მომსახურების, რომელიც შედარებით დაბალი ხარჯით შესრულდებოდა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში.

ცხრილი 3. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების საცნობარო ფუნქციების რეალიზაცია მეკარიბჭე ექიმების მიერ

ქვეყნები	საერთო პრაქტიკის ექიმები, გეიდკიპერები (მეკარიბჭე ოჯახის ექიმები)	წვდომა ექიმ-სპეციალისტზე
საქართველო	ოფიციალურად აღიარებულია	პირდაპირი მიმართვა სპეციალისტთან პაციენტებს უფრო იაფი უჯდებათ
სომხეთი	ოფიციალურად აღიარებულია	დანერგილია თეორიულად, პრაქტიკულად არ მუშაობს
აზერბაიჯანი	აღიარებულია და მუშაობს სოფლად	პირდაპირი მიმართვაც გავრცელებულია
ყირგიზეთი	აღიარებულია	დანერგილია
მოლდოვა	აღიარებულია	ასეთი წვდომა ფინანსურად წახალისდება
რუსეთი	არ არის სავალდებულო	გავრცელებულია
უკრაინა	აღიარებულია საპილოტე რეგიონებში	გავრცელებულია საპილოტე რეგიონებში
უზბეკეთი	არ არის აღიარებული	არ არის დანერგილი
ტაჯიკეთი	აღიარებულია და მუშაობს საპილოტე რეგიონებში	გავრცელებულია საპილოტე რეგიონებში
ყაზახეთი	არ არის აღიარებული	არ არის დანერგილი
ბელორუსი	აღიარებულია და მუშაობს სოფლად	დანერგილია და მუშაობს სოფელ ადგილებში
თურქმენეთი	დანერგილია	დანერგილია პირდაპირი წვდომა

წყარო: Chanturidze T. Et Al. (2009). Georgia: Health system Review Health system in Transition. 11(8): 1-116; Richardson E. (2003). Armenia: Health System Review. Health systems in Transition. 15(4): 1-99; Boerma W. (2012). Evaluation of the Structure and Provision of Primary Care in the Republic of Moldova: A survey-Based Project. Copenhagen. Who Regional Office for Europe.

საქართველოშიც და დანარჩენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც ვერტიკალური კომუნიკაცია და ინტეგრაცია სამედიცინო დახმარების პირველად და მეორე-მესამე დონეებს შორის მეტად პრობლემატურია. სამედიცინო დახმარების მეორე და მესამე დონეზე წვდომისთვის პაციენტისთვის ოფიციალურად სავალდებულოა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების მიმართვა, მაგრამ პრაქტიკულად, იგი არ გამოიყენება. საქართველოში და მოლდოვაში ოჯახის ექიმის მეშვეობით დაზღვეული პაციენტის გადამისამართება მეორეანმესამე დონის ექიმ-სპეციალისტთან მთლიანად დაზღვევით იფარება, ხოლო თუ მან ინდივიდუალურად მიაკითხა მას, ან საავადმყოფოს, მაშინ, მან ჯიბიდან მთლიანად უნდა დაფაროს მკურნალობის ხარჯი. ამ ქვეყნების პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები ასეთი ფინანსური სტიმულით ცდილობენ მათთან პაციენტთა მიმართვიანობის გაზრდას [8].

რეფორმის ერთ-ერთი შემადგენელი იყო სამედიცინო დაწესებულებების ახალი სტატუსის განსაზღვრა. საქართველოში პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები რეფორმის პროცესში განკერძოვდნენ და კერძო ამბულატორიულ დახმარებას აწვდიან პაციენტებს [1], მაგრამ ასე არ არის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში. ზოგიერთი ქვეყანა საქართველოს მსგავსად კერძო მომსახურებით მუშაობს და ექიმებთან შრომის ანაზღაურების საკონტრაქტო მოდელზე არიან გადასული (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა სტატუსი და დაქირავებულების შრომის ანაზღაურების მოდელი

ქვეყანა	სამართლებრივი სტატუსი და დაქირავებულებთან ანგარიშსწორების მექანიზმი
საქართველო	საკონტრაქტო მოდელი. პირველადი ჯანდაცვის ყველა დაწესებულება ავტონომიურია. ისინი სამედიცინო კადრს ქირაობენ. მათი ანაზღაურება განსხვავებულია. სოფლის დაწესებულებები დამოუკიდებელი ბიუჯეტის მფლობელები არიან. მათთან პირდაპირი ხელშეკრულება აქვს დადებული ჯანმრთელობის დაცვის სააგენტოს.
სომხეთი	საკონტრაქტო მოდელი. შექმნილია სახელმწიფო სააქციო საზოგადოებები. პირველადი სამედიცინო დახმარების მომწოდებლებისთვის გადახდა ხორციელდება სულადობრივ საფუძველზე ჯანდაცვის სახელმწიფო სააგენტოს მიერ. ამბულატორიული მომსახურება ნაზღაურდება პაციენტების და შინამეურნეობების მიერ. დაზღვევის საბაზო პაკეტში ჩართული მომსახურებები ნაზღაურდება საერთო ბიუჯეტიდან.
აზერბაიჯანი	ინტეგრირებული მოდელი. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები პირდაპირ ეკუთვნიან რაიონის ადგილობრივ ხელისუფლებას. მედმუშაკების დაქირავება მის მიერ ხდება. ხარჯებსაც მართვის ადგილობრივი ორგანო ფარავს.

ბელორუსი	ინტეგრირებული მოდელი. პირველადი ჯანდაცვა მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაშია. მას აფინანსებს სახელმწიფო სულადობრივი მიდგომით.
ყაზახეთი	საკონტრაქტო მოდელი. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები სახელმწიფო საწარმოები არიან. მათ აფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტი. პაციენტები იხდიან მხოლოდ საკონსულტაციო და დიაგნოსტიკური მომსახურების ღირებულებას.
ყირგიზეთი	საკონტრაქტო მოდელი. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა უმრავლესობა სახელმწიფო საკუთრებაშია. ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემაში სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის ფონდი წარმოადგენს ერთიან გადამხდელს. პირველადი დაწესებულებები მასთან აფორმებენ კონტრაქტებს სულადობრივი მიდგომით.
მოლდოვა	საკონტრაქტო მოდელი. 1991 წლიდან მთელ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებზე საკუთრების უფლება გადაეცათ რაიონების და ქალაქების მართვის ადგილობრივ ორგანოებს. ისინი ახორციელებენ ანგარიშსწორებას ამ დაწესებულებებთან სულადობრივი მიდგომით.
რუსეთი	საკონტრაქტო მოდელი. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა უმრავლესობა სახელმწიფო საკუთრებაშია. საყოველთაო სამედიცინო დაზღვევით მოცულ სამედიცინო მომსახურებას ანაზღაურებს ფედერალური და ტერიტორიული ბიუჯეტები. მედპერსონალის ანაზღაურება მყარი განაკვეთებით ხდება.
ტაჯიკეთი	ინტეგრირებული მოდელი. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა თითქმის ყველა მუშაკი სახელმწიფო მომსახურეთ ითვლება, მ. შ. ოჯახის ექიმებიც და მედდებიც, ანუ მთელი „ოჯახის ბრიგადები“. ქვეყნის მთავრობა არის მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი, თუმცა, არსებობს პაციენტების საკუთარი ჯიბიდან გადახდაც.
თურქმენეთი	ინტეგრირებული მოდელი. პირველადი ჯანდაცვის ყველა დაწესებულება არის კვლავაც სახელმწიფო საკუთრებაში. მათი თანამშრომლები ანაზღაურებას იღებენ ბიუჯეტიდან.
უკრაინა	ინტეგრირებული მოდელი საკონტრაქტო მოდელთან ერთად. საკონტრაქტო მოდელი გავრცელდა მხოლოდ საპილოტე რეგიონებში. დანარჩენ რეგიონებში პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები სახელმწიფო საკუთრებაშია და ფინანსდებიან ბიუჯეტიდან.
უზბეკისტანი	ინტეგრირებული მოდელი. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებათა უდიდესი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია და მათი დაფინანსება, ცხადია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება.

წყარო: Bernd Rechel, Erica Richardson, Martin Mckee. Trends in system in the Former Soviet countries. <https://www.euro.who.int/data/assets/pdf/file/0019/261271/Trends-in-health-Systems-in-former-Soviet-Countries.pdf>

როგორც მე-4 ცხრილი გვიჩვენებს, მთელ რიგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რომელთა რიცხვშია თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი და ბელორუსია, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სამართლებრივ სტატუსში რეფორმას არაფერი არ შეუცვლია. ისინი ისევე სახელმწიფო საკუთრებაში არიან, როგორც იყვნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს. რუსეთში, უზბეკეთში, უკრაინაში, ყირგიზეთში - პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების ნაწილმა მიიღო კერძო საწარმოს სტატუსი. მოლდოვას და აზერბაიჯანის პირველადი ჯანდაცვის

დაწესებულებები დაექვემდებარენ რაიონის (ქალაქის) მმართველობას, ანუ ისინი კვლავაც სახელმწიფო საწარმოები არიან, იგივე ხდება სომხეთში. აქ ყოფილი საბჭოური დროის პოლიკლინიკები და ამბულატორიები გადაკეთდნენ სახელმწიფო სააქციო საზოგადოებებად, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი განკერძოებაც არ მომხდარა.

სტატუსის შეცვლის თვალსაზრისით რეფორმა ყველაზე ეფექტიანი აღმოჩნდა საქართველოს პირველად ჯანდაცვაში, რადგან პირველადი ჯანდაცვის უმრავლესმა დაწესებულებამ კერძო საწარმოს სტატუსი მიიღო. „საქართველოში, - წერს პროფესორი თ. ვერულავა, - უმთავრესად სამედიცინო დაწესებულებების მესაკუთრეობის ორი ფორმაა განვითარებული - კერძო მომგებიანი და სახელმწიფო საკუთრების. სხვა ქვეყნებში, თვით მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი, პირველად ჯანდაცვაში მესაკუთრეობის უფრო მრავალი ფორმებია მუნიციპალური მესაკუთრეობის ჩათვლით. ისმება კითხვა: ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებისთვის რა ჯობს - სამედიცინო დაწესებულებათა მესაკუთრეობის ფორმების სიმრავლე თუ პირიქით, საკმარისია ორი ფორმა? მართალია სამედიცინო მომსახურების ბაზარი მოითხოვს სამედიცინო დაწესებულებების მრავალი ფორმის არსებობას, მაგრამ, ჩვენი აზრით, არსებული ორი ფორმაც იქნებოდა საკმარისი, საქართველოში საკმარისი რაოდენობით რომ შექმნილიყო არამომგებიანი სამედიცინო დაწესებულებები. ისინი კერძო მომგებიან ორგანიზაციებისგან იმით განსხვავდებიან, რომ მთელ მოგებას ახმარენ სამედიცინო ტექნიკის შეძენას, სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას და დასაქმებულთა ხელფასების გაზრდას და არა აქციონრებს შორის მოგების განაწილებას [9].

ასე რომ, რეფორმის შემდეგ, საქართველოში სახელმწიფოს საკუთრებაში ნაკლებად დარჩა სამედიცინო დაწესებულებები. ეს კარგია, მაგრამ ჩვენ ვიზიარებთ პროფესორ თ. ვერულავას აზრს იმის შესახებ, რომ უკეთესი იქნებოდა, მრავლად გახსნილიყო არა მხოლოდ მომგებიანი, არამედ, არამომგებიანი კერძო დაწესებულებებიც, რომლებიც მოემსახურებოდნენ ღარიბ მოსახლეობას (ევროპის ქვეყნებში ეს მიღებული პრაქტიკაა [10]). ისიც ცნობილია, რომ აშშ-ში ასეთ დაწესებულებებს მიმართავს პაციენტების 70% [11]. ასეთ დროს ამერიკა მდიდარი ქვეყანაა, საქართველო კი ღარიბი. სწორედ საქართველოს და საქართველოს ღარიბ ქვეყნებს სჭირდება ასეთი სამედიცინო დაწესებულებები [12].

დასკვნა. ყოველივე ზემონათქვამის შეჯამებით შეიძლება დავასკვნათ, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების შუქზე პირველად ჯანდაცვაში მიმდინარე რეფორმების მართვით საქართველო არც მოწინავეა და არც მთლიანად ჩამორჩენილი. იგი საშუალო პოზიციას იკავებს. მას სჯობნის მოლდოვა და ყირგიზეთი, ხოლო მას ჩამორჩება ბელორუსია, ტაჯიკეთი, რუსეთი, თურქმენეთი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Smith O., Nguyen SH.** (2013). Getting Better: Improving Health System Outcomes in Europe and Central Asia. Washington. Dc. world Bank.
2. **Beeli P.** (2003). The Years of Health Reforms in Former Socialist Economies: Lessons Learned and Options for the Future. International Health Groups. Cambridge, MA, Harvard School of Public Health.
3. **Rechel B., Mckee M.** (2009). Health Reform in Central Europe and the Former soviet Union. Lancet. 374:1186-1195.

4. **Chanturidze T. Et Al.** (2009). Georgia: Health system Review Health system in Transition. 11(8): 1-116.
5. **Bernd Rechel, Erica Richardson, Martin Mckee.** Trends in system in the Former Soviet countries. <https://www.euro.who.int/data/assets/pdf/fille/0019/261271/Trends-in-health-Systems-in-former:Soviet-Countries.pdf>
6. **Ropovich L., et. al.** (2011). Russian Federation: Health System Review. Health systems in Transition. 13:1-190.
7. World Bank (2005). Review of Experience of Family Meicine in Europe and Central Asia. vol. 5. Moldova Case Study: Washington. Dc. world Bank.
8. **Boerma W.** (2012). Evaluation of the Structure and Provision of Primary Care in the Republic of Moldova: A suruey-Based Project. Coperhagen. Who Regional Office for Europe; **Chanturidze T. Et Al.** (2009). Georgia: Health system Review Health system in Transition.
9. ვერულავა თ. პირველადი ჯანდაცვის სისტემა და მისი როლი ჯანმრთელობის კაპიტალის ამაღლებაში. თბ., 2021. გვ. 89.
10. **Feldstein P. J.** (2011). Health Policy Issues. An Economic Perspective. Fourth Edition Chicago AU-PHA Press.
11. **Sloan F.** (2000). Not-For-Profit Ownership and Hospital Behavior. Now-York. North-Holland Press.
12. AHA (2007). American Hospital Association. Hospital Statistic: AHA.

რეზიუმე

სტატიაში - „საქართველოს პირველადი ჯანდაცვის რეფორმების შედარებითი მენეჯმენტი“ - განხილულია საქართველოს პირველად ჯანდაცვაში განხორციელებული რეფორმის შედეგები და იგი შედარებულია 11 ქვეყნის ჯანდაცვის რეფორმირების მართვის შედეგებთან. ეს ქვეყნებია: თურქმენეთი, ყაზახეთი, ბელორუსია, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, რუმინეთი, უკრაინა, მოლდოვა, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი. იმის მიუხედავად, რომ პირველადი ჯანდაცვის რეფორმა ყველგან ჩაატარა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ („ჯანმო“), მსოფლიო ბანკმა და აშშ-ს სააგენტო USAID-მა, მისი შედეგები ამ ქვეყნებში მაინც სხვადასხვანაირი აღმოჩნდა. ეს გამოიწვია დარღვევებმა რეფორმირების გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაში.

რეფორმის ძირითადი მიზანი იყო საოჯახო მედიცინის დანერგვა. ამ საკითხის გადაწყვეტაში ყველაზე წარმატებული აღმოჩნდნენ მოლდოვა და ყირგიზეთი. მათ საწყის წლებშივე შეძლეს სამედიცინო-სანიტარული დახმარების დაწესებულებების გადაყვანა საოჯახო მედიცინაზე. მოლდოვა წარმატებული აღმოჩნდა „სოფლის ექიმის“ ინსტიტუტის ჩამოყალიბებაშიც, კერძოდ, სოფლის ექიმისთვის ინდივიდუალური მეწარმის სტატუსის მიცემაში. ეს პრაქტიკა ნაწილობრივ იყო დანერგილი საქართველოში. საქართველოში პაციენტები ექიმ-სპეციალისტის და ოჯახის ექიმის ამორჩევის უფლებას ნაწილობრივ იყენებენ. ამავე მდგომარეობაშია ტაჯიკეთი და ყაზახეთი. ამის მიუხედავად პაციენტები მათი კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის დეფიციტს ასახლებენ.

სტატუსის შეცვლის თვალსაზრისით რეფორმა ყველაზე ეფექტიანი იყო საქართველოში. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების უმრავლესობა

საქართველოში კერძო საკუთრებაში გადავიდა. ისინი იქამდის სახელმწიფო საკუთრებაში იმყოფებოდნენ.

სტატიაში აღნიშნულია, რომ რეფორმის შემდეგ საქართველოში სახელმწიფო საკუთრებაში ნაკლებად დარჩა პირველადი სამედიცინო დახმარების დაწესებულებები და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ევროპის ქვეყნების დარად საქართველოში რეფორმის გამტარებლებს და თვით საქართველოს მთავრობას რეფორმის პერიოდში უნდა ეზრუნათ არამომგებიანი სამედიცინო დაწესებულებების გახსნაზეც, რომლებიც მოემსახურებოდნენ ღარიბ მოსახლეობას.

COMPARATIVE MANAGEMENT OF PRIMARY HEALTH CARE REFORMS IN GEORGIA

DAVID STURUA

Hospital manager

RESUME

The article - “Comparative Management of Primary Health Care Reforms in Georgia” - discusses the results of the reform implemented in the primary health care of Georgia and compares it with the results of health care reform management in 11 countries. These countries are: Turkmenistan, Kazakhstan, Belarus, Tajikistan, Uzbekistan, Romania, Ukraine, Moldova, Kyrgyzstan, Azerbaijan and Armenia. Despite the fact that primary health care reform was carried out everywhere by the World Health Organization (“WHO”), the World Bank and the US agency USAID, its results were different in these countries. This was caused by irregularities in the implementation of the decisions made by the reform team.

The main goal of the reform was to introduce family medicine. Moldova and Kyrgyzstan were the most successful in solving this issue. In the early years, they were able to transfer medical and sanitary care facilities to family medicine. Moldova was also successful in establishing the “Rural Doctor” institution, in particular in giving the status of an individual entrepreneur to the rural doctor. This practice was partially introduced in Georgia. In Georgia, patients exercise the right to choose a specialist and a family doctor on an annual basis. Tajikistan and Kazakhstan are in the same situation. The reason for this is the lack of information about their competences.

In terms of changing the status, the reform was the most effective in Georgia. The majority of primary health care facilities in Georgia have been transferred to private ownership. They were in state property until then.

The article mentions that after the reform there were few primary medical care facilities left in state ownership in Georgia, and the opinion is expressed that, like the European countries, the reformers in Georgia and the Georgian government itself during the reform period should have taken care of opening non-profit medical facilities that would serve the poor population.

**ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით
ბათვალისნინაბული სოციალური პირობების
მარკებულრიკაელი ღირაქტივიების მიმომხილვა
საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში**

შალვა ურიადმოფელი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის
დოქტორანტი

DOI: <https://doi.org/10.52340/gbsab.2024.50.06>

საკვანძო სიტყვები: საავტომობილო ტრანსპორტი, ევროკავშირი, ასოცირება, ღირექტივა, რეგულაცია, მენეჯმენტი.

კვლევის მიზანია: საქართველოში ევროკავშირის რეგულაციების დანერგვის შედეგად საავტომობილო ტრანსპორტის კომპანიების მენეჯმენტში მოსალოდნელი ცვლილებების გაანალიზება და დამუშავება. თემის შერჩევაში დიდი როლი ითამაშა სწორედ იმ ფაქტმა, რომ საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვები ერთ ერთი ყველაზე მზარდი და უწყვეტი (მიუხედავად პანდემიისა) ბიზნესი გახდა არა მარტო საქართველოში, არამედ, ევროპის ქვეყნებში, ხოლო მენეჯმენტის სისტემა, რომელიც ამ სფეროში არსებულ კომპანიებშია დიდი გამოწვევების და პრობლემების წინაშე დგას.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-6 კარის პირველი თავი განსაზღვრავს ტრანსპორტის სფეროში საქართველოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის ძირითად საკითხებს და მისი მიზანია ქვეყანაში უზრუნველყოს სატრანსპორტო ეროვნული პოლიტიკის და შესაბამისი დარგობრივი სტრატეგიების განვითარება, ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემების და ტრანსპორტის სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა ინფრასტრუქტურული პოლიტიკის განვითარება და სხვა.

ევროკავშირის პოლიტიკა რთულია და მრავალმხრივი და მიმართულია ეკონომიკური, გეოგრაფიული, რეგიონული და პოლიტიკური ინტეგრაციისაკენ [1]. ევროკავშირის ინტეგრაციის პოლიტიკის რესურსების დაახლოებით 22% განსაზღვრულია სწორედ სატრანსპორტო პროექტებში ინვესტირებისათვის, რაც ნათლად გვიჩვენებს, რომ თანამედროვე, ეფექტური სატრანსპორტო და სადისტრიბუციო სფეროში ეს უზარმაზარი შენატანი ეკონომიკური წარმატებისა და სოციალური განვითარების საფუძველს ქმნის[2]. ტრანსპორტი არის ევროკავშირის ეკონომიკის ერთ-ერთი სტრატეგიული სექტორი, რომელსაც პირდაპირი გავლენა აქვს ევროკავშირის მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაზე და უზრუნველყოფს მათ 11 მილიონი სამუშაო ადგილით[3].

ევროკავშირის საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში არსებული ღირექტივების და რეგულაციების საქართველოში დანერგვის სამომავლო მიზნებია უზრუნველყოს საგზაო უსაფრთხოების და საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში დასაქმებული

პერსონალის სოციალური პირობების გაუმჯობესება, საავტომობილო ტრანსპორტის ინდუსტრიაში სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობა, საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში დასაქმებული პირების მონიტორინგისა და აღსრულების პრაქტიკის შემუშავება, დახვეწა და გაუმჯობესება.

ასოცირების შეთანხმების XXIV დანართი განსაზღვრავს საგზაო ტრანსპორტის მიმართულებით ურთიერთთანამშრომლობის ასპექტებს და მიუთითებს ევროკავშირში მოქმედ შესაბამის ნორმატიულ აქტებს (რეგულაციები, დირექტივები). ნაკისრი ვალდებულებების გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია იმ დოკუმენტების განხილვა, რომლებიც დეტალურად განმარტავენ სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებებს, კერძოდ, მნიშვნელოვანია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული საავტომობილო სფეროში სოციალური პირობების მარეგულირებელი რეგულაციების და დირექტივების მიმოხილვა.

2006 წლის 15 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 561/2006 რეგულაცია საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებული გარკვეული სოციალური კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ[4]. აღნიშნული დირექტივა ეხება სოციალურ საკითხებს, კერძოდ საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების (მძღოლთა) შრომისა და დასვენების ოპტიმალური რეჟიმების დაცვის პირობებს (ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის ყოველდღიურ, უწყვეტად მართვის მაქსიმალურად დასაშვებ, ყოველკვირეული მართვის ჯამურ, დასვენების და შესვენების დროების დასაშვებ ხანგრძლივობებს), მათ დაცვას, გადამზიდველთა ვალდებულებას და მონიტორინგის საკითხებს.

აღნიშნული დირექტივის მოთხოვნები უკვე ასახულია საქართველოს კანონმდებლობაში. პრობლემას წარმოადგენს მხოლოდ ამ დირექტივის დებულებების მოთხოვნათა დაცვაზე მონიტორინგი, რომლის განხორციელებაც შესაძლებელი გახდება მხოლოდ "საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების მუშაობის შესახებ" ევროპის შეთანხმების (AETR) საქართველოში იმპლემენტაციის შემდგომ, რომელსაც საქართველო მიუერთდა 2011 წლიდან. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვან პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საქმიანობის მონიტორინგის არ არსებობა, რომელიც სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის როგორც ამ დირექტივის, ისე ზემოაღნიშნული შეთანხმების მოთხოვნების სრულყოფილ შესრულებას.

1985 წლის 20 დეკემბრის საბჭოს (EEC) N 3821/85 რეგულაცია საგზაო ტრანსპორტში ჩამწერი მოწყობილობების შესახებ [5]; აღნიშნული დირექტივა ეხება საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების (მძღოლთა) მართვის ყოველდღიურ, უწყვეტად მართვის მაქსიმალურად დასაშვებ, ყოველკვირეული მართვის ჯამურ, დასვენების და შესვენების დროების დასაშვებ ხანგრძლივობების მარეგისტრირებელ მოწყობილობას (ტაქოგრაფს), რომელიც უწყვეტ რეჟიმში ავტომატურად ახორციელებს ზემოაღნიშნული პარამეტრების, ასევე ავტოსატრანსპორტო საშუალების გავლილი მანძილის და მოძრაობის სიჩქარის (აგრეთვე ზოგიერთი სხვა სახის მონაცემის) გაზომვას და რეგისტრაციას. ტაქოგრაფის ჩვენება წარმოადგენს იურიდიულად მიღებულ მონაცემებს სასამართლოში გარჩევისას ან გზებზე სატრანსპორტო პროცესების

მონიტორინგის დროს.

აღნიშნული დირექტივის მოთხოვნები ნაწილობრივ უკვე ასახული არის საქართველოს კანონმდებლობაში. პრობლემას წარმოადგენს ამ დირექტივის დებულებების მოთხოვნათა დაცვაზე მონიტორინგი. უნდა აღინიშნოს, რომ დირექტივით ჩნდება ვალდებულება, რომ ის ავტოსატრანსპორტო საშუალება რომელთა გამოშვების თარიღი არის 2010 წლის 16 ივნისის შემდეგ, უნდა იყოს აღჭურვილი ციფრული ტაქოგრაფით, სხვა შემთხვევაში მათი გადაადგილება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ფიზიკურად შეუძლებელია.

2006 წლის 15 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/22/EC დირექტივა საგზაო ტრანსპორტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სოციალური კანონმდებლობის შესახებ საბჭოს (EEC) N 3820/85 და (EEC) N 3821/85 რეგულაციების იმპლემენტაციის მინიმალური პირობების შესახებ[6]; აღნიშნული დირექტივა ეხება საავტომობილო გადაზიდვების მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების (მძღოლთა) კანონმდებლობით განსაზღვრული შრომისა და დასვენების დადგენილი რეჟიმების დაცვის პირობების (ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის ყოველდღიურ, უწყვეტად მართვის მაქსიმალურად დასაშვებ, ყოველკვირეული მართვის ჯამურ, დასვენების და შესვენების დროების დასაშვებ ხანგრძლივობებს) და მათი მარეგისტრირებელი მოწყობილობების (ტაქოგრაფების) გამოყენების მონიტორინგს.

პრობლემებიდან უნდა აღინიშნოს, რომ ამ დირექტივის იმპლემენტაცია პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, რომ მონიტორინგის განხორციელება შესაბამისი კომპეტენტური უწყების მეორ საქართველოს კანონმდებლობით შესაძლებელია ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2009 წლის 21 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 1071/2009 რეგულაცია, რომელიც ადგენს ავტოსატრანსპორტო ოპერატორის დასაქმების მიზნით შესასრულებელი პირობების შესახებ საერთო წესებს[7]; დირექტივა ეხება გადამზიდველთა ბაზარზე დაშვებას და დაშვების კრიტერიუმებს. ბაზარზე დაშვების კრიტერიუმებიდან განხილულია:

- გადამზიდველის კარგი რეპუტაცია;
- გადამზიდველის შესაბამისი ფინანსური გარანტიები;
- გადამზიდველის მენეჯერის პროფესიული კომპეტენტურობა.

განმარტებულია რა იგულისხმება: კარგ, საიმედო რეპუტაციაში (მის გავლილ საქმიანობაში სერიოზული დარღვევებთან და დანაშაულებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით სატრანსპორტო კუთხით), ფინანსურ გარანტიებში (ერთი სატრანსპორტო საშუალებისათვის 9 ათასი ევროს ექვივალენტის ლიკვიდური კაპიტალის ქონა, ხოლო ყოველ შემდგომზე 5 ათასის. ფინანსურ გარანტიად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს გადამზიდველის ქონება, მათ შორის თვით ავტოსატრანსპორტო საშუალებაც) და პროფესიულ კომპეტენტურობაში (დირექტივით განსაზღვრულია მენეჯერის მოსამზადებლად საჭირო სასწავლო გეგმები, მინიმალური დისციპლინების ჩამონათვალი და ამ პირობების დაცვით მომზადებულ და ტესტირებულ მაძიებელზე გასაცემი პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატის ნიმუში, რომელიც აღიარებული იქნება ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის მიერ).

ამ დირექტივის მოთხოვნები ნაწილობრივ უკვე არის ასახული საქართველოს კანონმდებლობაში.

2002 წლის 11 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2002/15/EC, მოძრავ საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ[8]; დირექტივით რეგლამენტირებულია მძღოლთა შრომის და დასვენების რეჟიმები, რომლებიც მუშაობენ საკუთარი გადაზიდვების პრინციპით (საკუთარი არაკომერციული მოთხოვნილების შესაბამისად განხორციელებული გადაზიდვა-გადაყვანები საკუთარი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით). ამ დირექტივის მიზანია კომერციული და არაკომერციული საქმიანობით დაკავებული მძღოლების თანაბარ კონკურენტულ პირობებში ჩაყენება. მიზანშეწონილია აღნიშნული დირექტივის დებულებები ასახოს საქართველოს კანონმდებლობაში, რის შედეგადაც დირექტივის იმპლემენტაციისას პრობლემები ანალოგიური იქნება რაც EEC 3821/85 2006/22/EC და EC 561/2006 დირექტივების შემთხვევაშია მითითებული.

2003 წლის 15 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2003/59/EC ტვირთის გადაზიდვისა ან მგზავრთა გადაყვანის მიზნით გარკვეული სახის ავტოსატრანსპორტის მძღოლების საწყისი კვალიფიკაციისა და პერიოდული ტრენინგების შესახებ[9]; აღნიშნული დირექტივა ეხება მძღოლთა პროფესიულ მომზადებას და გადამზადებას საერთაშორისო სატრანსპორტო კანონმდებლობის ძირითადი დებულებების გათვალისწინებით, რაც გამოიხატება საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების (მძღოლთა) მართვის ყოველდღიურ, უწყვეტად მართვის მაქსიმალურად დასაშვებ, ყოველკვირეული მართვის ჯამურ, დასვენების და შესვენების დროების დასაშვები ხანგრძლივობების ცოდნაში და მათი მარეგისტრირებული მოწყობილობების (ტაქოგრაფების) ექსპლუატაციის უნარ-ჩვევების დაუფლებაში.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად და ჯეროვნად შესრულება არა მარტო საავტომობილო გადაზიდვების სფეროში ჩართული კომპანიების და მათი მენეჯმენტის განვითარებას უზრუნველყოფს, არამედ აღნიშნული პროცესი მკვეთრად გააუმჯობესებს და ხელს შეუწყობს საქართველოს სატრანსპორტო ქვეყნის სტატუსის ამაღლებას და ევროკავკასია-აზიის დერეფანში უსაფრთხო ქვეყნის ავტორიტეტის დამკვიდრებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- [1] შ.მურღულია, ვ.კიკუტაძე - ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების თანახმად ქართული მხარის მიერ 2014-2018 წლებში ტრანსპორტის სფეროში აღებული ვალდებულებების შესრულების ანალიზი - <https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/601/403/f2c/601403f2c538f528792497.pdf>
- [2] ევროკავშირი რეგიონალური პოლიტიკა, ძირითადი პრინციპების გამოყენება, ათვისებული გაკვეთილის გაზიარება, გამოცდილების გაცვლა. ევროკავშირის ოფიციალურ გამოცემათა ოფისი L-2985 ლუქსემბურგი DOI: 102776/33209, გვ. 7.
- [3] Towards a successful transport sector in the EU: challenges to be addressed, Landscape

Review, 2018.p.5.

- https://www.eca.europa.eu/lists/ecadocuments/lr_transport/lr_transport_en.pdf

- [4] 2006 წლის 15 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 561/2006 რეგულაცია საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებული გარკვეული სოციალური კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ, <https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2006/561/oj>
- [5] 1985 წლის 20 დეკემბრის საბჭოს (EEC) N 3821/85 რეგულაცია საგზაო ტრანსპორტში ჩამწერი მოწყობილობების შესახებ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A31985R3821&qid=1676451370872>
- [6] 2006 წლის 15 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/22/EC დირექტივა საგზაო ტრანსპორტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სოციალური კანონმდებლობის შესახებ საბჭოს (EEC) N 3820/85 და (EEC) N 3821/85 რეგულაციების იმპლემენტაციის მინიმალური პირობების შესახებ <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2006/22/oj>
- [7] 2009 წლის 21 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 1071/2009 რეგულაცია, რომელიც ადგენს ავტოსატრანსპორტო ოპერატორის დასაქმების მიზნით შესასრულებელი პირობების შესახებ საერთო წესებს <https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2009/1071/oj>
- [8] 2002 წლის 11 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2002/15/EC, მოძრავ საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ პირთა სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ - <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2002/15/oj>
- [9] 2003 წლის 15 ივლისის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2003/59/EC ტვირთის გადაზიდვისა ან მგზავრთა გადაყვანის მიზნით გარკვეული სახის ავტოტრანსპორტის მძღოლების საწყისი კვალიფიკაციისა და პერიოდული ტრენინგების შესახებ <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2003/59/oj>

რეზიუმე

საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, საქართველომ აიღო ვალდებულები კონკრეტულ ვადებში დაუახლოვოს ეროვნული კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას. აღნიშნული დაახლოება სხვადასხვა მიმართულებებთან ერთად ეხება ასევე საავტომობილო ტრანსპორტის სფეროს. ევრო რეგულაციები ადგენენ საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვასა და მგზავრების გადაყვანაში ჩართული კომპანიების და მათი მენეჯმენტის მიმართ წესებს და მოთხოვნებს. იმისათვის რომ ჰარმონიზებულ იქნას პირობები როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საერთაშორისო გადამზიდავი კომპანიებისათვის, მნიშვნელოვანია ეტაპობრივი ნაბიჯების გადადგმა და შესაბამისი რეფორმების გატარება.

REVIEW OF DIRECTIVES REGULATING THE CONDITIONS DEFINED BY THE ASSOCIATION AGREEMENT WITH THE EUROPEAN UNION IN THE FIELD OF ROAD TRANSPORT

SHALVA URIADMKOPELI
Georgian Technical University
Doctoral educational program in Business Administration
PhD student

SUMMARY

Within the framework of the association agreement signed between Georgia and the European Union, Georgia committed to aligning its national legislation with the European Union within a specified timeframe. This convergence, encompassing various aspects, extends to the field of road transport. European regulations establish rules and requirements for companies and their management involved in transporting goods and passengers via road transport. To standardize conditions for domestic and international freight companies, it is crucial to take incremental steps and implement relevant reforms.

This study aims to analyze and evaluate the anticipated changes in the management of road transport companies resulting from the implementation of EU regulations in Georgia. The significant growth and sustained nature of road transportation, despite the pandemic, have made it a thriving industry not only in Georgia but also in European countries. This fact heavily influenced the selection of this topic, as the management systems in companies operating in this field are confronted with significant challenges and issues.

Keywords: Road transport, European Union, Association, Directive, Regulation, Management.

ამნი სატრანსპორტო მანქანების დინამიკური კვლევა¹

ირინე ყაჭიური

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამა მშენებლობის
მაგისტრანტი

მაია ბარბაქაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო მანქანების
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მექანიკის ინჟინერიისა და
ტექნოლოგიის აკადემიური დოქტორი

გელა ყიფიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო მანქანების
დეპარტამენტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

DOI:<https://doi.org/10.52340/gbsab.2024.50.05>

საკვანძო სიტყვები: ამწე, დინამიკა, მდგრადობა, ალგორითმი, პროგრამა.

1. შესავალი

დღევანდელ მსოფლიოში, როდესაც მშენებლობის მოცულობამ უზარმაზარ მასშტაბებს მიაღწია, მზარდი ტემპებით ვითარდება მრეწველობა, იზრდება სატრანსპორტო კავშირები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის, ვითარდება ვაჭრობა და ა.შ., მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამწე-სატრანსპორტო, დამტვირთ-განმტვირთავ და სასაწყობო სამუშაოების შესრულების ეფექტურობის ამაღლებას, რამეთუ ეს სამუშაოები მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ყოველივე ეს განაპირობებს ამწე-სატრანსპორტი მანქანების საიმედოობის და მათი შემადგენელი ელემენტების ხანგამძლეობის მიმართ მზარდ ყურადღებას და მოთხოვნებს. [1]

ამწე-სატრანსპორტო მანქანათა ერთ-ერთ გავრცელებულ ჯგუფს მიკუთვნებული ხარიხა და ხიდური ამწეების საიმედოობის უმთავრესი მახასიათებლები-უმტყუნებლობა და ხანგამძლეობა, მნიშვნელოვნად არის განპირობებული მათი სავალი ნაწილის შესაბამისი მაჩვენებლებით. კერძოდ, მალეცვლადი ელემენტებით-თვლების და სავალი კვანძის ლითონკონსტრუქციის ამტანობის უნარის ექსპლუატაციურ-კონსტრუქციული მაჩვენებლების სიმყარით. [2],[3]

ხარიხა და ხიდური ამწეების ინტენსიურად ცვლადი ელემენტები-სავალი თვლები, ისედაც მცირე რესურსის პირობებში, ხშირად იმაზე ნაკლებ დროს მუშაობენ, ვიდრე მათი სამსახურის ვადა განსაზღვრულია ანგარიშით. ამწეების არაგეგმიური რემონტი და აქედან გამომდინარე მოცდენა წარმოშობს დიდ ეკონომიურ დანაკარგებს, როგორც წარმოებისთვის ასევე ქვეყნის ეკონომიკისთვის. ხიდურა ამწეების საიმედოობაზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენებს, რომ მათი მოცდენის დროს 10-12% უკავშირდება სავალი თვლების მოწყობიდან გამოსვლას. ხარჯები, რომელიც განპირობებულია, სავალი თვლების აღდგენასთან და შეცვლასთან შეადგენს ამწეს მთლიანი რემონტის ღირებულების 15-20%-ს.

ამწემწარმოებელი ქვეყნებში წელიწადში უშვებენ რამდენიმე ასეულ ათას ამწეს სავალ თვალს. ლითონის წლიური ხარჯი ამწეს თვლების წარმოებაზე განისაზღვრება რამდენიმე ათასი ტონით. ამასთან, დამზადებული თვლების მესამედზე ნაკლები

1. სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) ხელშეწყობით. პროექტი NMR-23-759

მოდის ახლად წარმოებული ამწის ასაწყობად, დანარჩენი განკუთვნილია გაცვეთილი თვლების შესაცვლელად.

აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებული იქნას მკაცრი ბუნებრივი მოვლენები. კერძოდ ქარბორბალის გამო 2010 წელს და 2021 წელს სექტემბერში ქალაქ ფოთში შპს “ჯორჯიან ტრანსექსპედიცია ფოთი”ს კუთვნილ საკონტეინერო ტერმინალზე მოხდა ჯოჯგინა ამწეების დაზიანება. გადმოცემულია აღნიშნული რისკების აღმოფხვრის შესახებ.

აქედან გამომდინარე, ამწეების სავალი თვლების (წარმოადგენენ უნიფიცირებულ ელემენტებს სხვადასხვა ტიპის ამწეებისათვის) ხანგამძლეობის ამალღება, წარმოადგენს მნიშვნელოვან, აქტუალურ ამოცანას ქვეყნის მრეწველობის განვითარებისათვის.

2. ძირითადი ნაწილი

მცირე რხევის განტოლებების კოეფიციენტების დაშლა საკუთარი ფორმების მიმართ [6]

დავწეროთ განტოლებათა სისტემა 1-ური საკუთარი რხევისათვის, პირდაპირი ფორმით, გვექნება:

$$P_e^2 U_{ei} = \sum_{k=1}^s b_{ik} U_{ek}, \quad (i = 1, 2, \dots, s) \quad (1)$$

b_{ik} წარმოვადგენთ შემდეგი სახით:
$$b_{ik} = \sum_{n=1}^s a_{ni} U_{nk}, \quad (i, k = 1, 2, \dots, s). \quad (2)$$

ტოლობის ორივე მხარე გავამრავლოთ U_{ek} -ზე და შემდეგ ავჯამოთ k -ს მიმართ, მივიღებთ:

$$\sum_{n=1}^s b_{ik} U_{ek} = \sum_{k=1}^s U_{ek} = \sum_{n=1}^s a_{ni} U_{nk} = \sum_{n=1}^s a_{ni} = \sum_{k=1}^s U_{ek} U_{nk},$$

ორთოგონალობისა და ნორმირების პირობის ძალით, მივიღებთ:
$$a_{li} = \sum_{k=1}^s b_{ik} U_{ek}.$$

თუ ახლა გავითვალისწინებთ (1), მაშინ $a_{li} = U_{li} P_e^2$. ჩავსვათ a_{li} ეს მნიშვნელობა (2)-ში, მივიღებთ, პირდაპირი ფორმით დაწერილი განტოლებათა სისტემის კოეფიციენტების დაშლას საკუთარი ფორმების მიმართ:

$$b_{li} = \sum_{n=1}^s P_l^2 U_{ni} U_{nk} \quad (i, k = 1, 2, \dots, s). \quad (3)$$

დავწეროთ, 1-ური საკუთარი რხევის განტოლებები შებრუნებული ფორმით

$$U_{li} = P_l^2 \sum_{k=1}^s h_{ik} U_{lk}.$$

ანალოგიური გზით მივიღებთ h_{li} კოეფიციენტების დაშლას საკუთარი ფორმების მიმართ:

$$h_{ik} = \sum_{n=1}^s \frac{U_{ni} U_{nk}}{P_n^2}, \quad (i, k = 1, 2, \dots, s). \quad (4)$$

ახლა, იტერაციით შეიძლება ვიპოვოთ h_{ik} კოეფიციენტის დაშლა ნებისმიერ რიგამდე, ე.ი. ჯამი


$$h_{ik}^0 = h_{ik}, \quad h_{ik}^1 = \sum_{n=1}^s h_{in}^0 h_{nk}^1, \quad h_{ik}^{(m)} = \sum_{n=1}^s h_{in}^{(m-1)} h_{nk}.$$

(4)-ის მიხედვით ვიპოვოთ
$$h_{ik}^{(m)} = \sum_{n=1}^s \frac{U_{ni} U_{nk}}{P_n^{2(m+1)}} \quad (i, k = 1, 2, \dots, s) \quad (5)$$

პირდაპირი განტოლების კოეფიციენტების იტერაციით მივიღებთ:

$$b_{ik}^{(m)} = \sum_{n=1}^s U_{ni} U_{nk} P_n^{2(m+1)}, \quad (i, k = 1, 2, \dots, s) \quad (6)$$

ამოცანა: ვიპოვოთ ერთგვაროვანი ძეგლის განივი რხევის საკუთარი ფორმები. დავყოთ ძელი სამ ტოლ ნაწილად და მათი მასები მოვათავსოთ შუა წერტილებში (ნახ. 1). ძეგლის სიგრძე აღვნიშნოთ l -ით, სიგრძის ერთეულის მასა μ -ით. მაშინ თითოეული ნაწილის მასა ტოლი იქნება $m_1 = m_2 = m_3 = \frac{\mu l}{3}$. დრეკადობის მოდული აღვნიშნოთ E (კგ/სმ²). ხოლო განივი კვეთის ინერციის მომენტი (მთელ სიგრძეზე მუდმივია) – I (სმ⁴).



ნახ. 1

გავლენის სტატიკური კოეფიციენტების გამოსათვლელად თუ გამოვიყენებთ (7) ფორმულებს, მივიღებთ:

$$\alpha_{11} = \frac{25l^3}{3888EI}, \quad \alpha_{12} = \frac{\frac{l}{6} \cdot \frac{l}{2} \left(l^2 - \frac{l^2}{36} - \frac{l^2}{4} \right)}{6EI} = \frac{39}{3888EI} l^3;$$

$$\alpha_{13} = \frac{17}{3888EI} l^3, \quad \alpha_{22} = \frac{\frac{l^2}{4} \left(l - \frac{l}{2} \right)^2}{6EI} = \frac{81}{3888EI} l^3,$$

$$\alpha_{23} = \frac{39}{3888EI} l^3, \quad \alpha_{33} = \frac{25}{3888EI} l^3, \quad \alpha_{21} = \alpha_{12},$$

$$\alpha_{13} = \alpha_{31}, \quad \alpha_{32} = \alpha_{23}.$$

(8) შებრუნებული ფორმით დაწერილი განტოლებიდან, მივიღებთ:

$$\lambda_i = P^2 \frac{\mu l}{3} \sum_{k=1}^3 \alpha_{ik} \lambda_k, \quad (i, k = 1, 2, \dots, s).$$

თუ ამ გამოსახულებაში ჩავსვათ α_{ik} მნიშვნელობებს და ჩაწერის გამარტივების მიზნით შემოვიღებთ აღნიშვნას

$$\omega^2 = 3888 \cdot \frac{1}{P^2 \cdot \frac{\mu l}{3}} = \frac{11664EI}{P^2 \mu l^4}.$$

მივიღებთ შემდეგ განტოლებათა სისტემას:

$$\begin{aligned} \lambda_1 \omega^2 &= 25\lambda_1 + 39\lambda_2 + 17\lambda_3; \\ \lambda_2 \omega^2 &= 39\lambda_1 + 81\lambda_2 + 39\lambda_3, \\ \lambda_3 \omega^2 &= 17\lambda_1 + 39\lambda_2 + 25\lambda_3. \end{aligned} \tag{9}$$

ამ სისტემის სიხშირის განტოლება მიიღებს სახეს:

$$\begin{vmatrix} 25 - \omega^2 & 39 & 17 \\ 39 & 81 - \omega^2 & 39 \\ 17 & 39 & 25 - \omega^2 \end{vmatrix} = 0.$$

თუ დეტერმინანტს გავშლით, მაშინ გვექნება $\omega^6 - 131\omega^4 + 134\omega^2 - 2880 = 0$. ეს კი დაიშლება მამრავლებად $(\omega^2 - 120)(\omega^2 - 8) \times (\omega^2 - 3) = 0$. მისი ფესვები $\omega_1^2 = 120$, $\omega_2^2 = 8$, $\omega_3^2 = 3$, ხოლო ღეროს შესაბამისი რხევის საკუთარი სიხშირეები კი

$$P_1 = \frac{9,859}{l^2} \sqrt{\frac{EI}{\mu}}; \quad P_2 = \frac{38,18}{l^2} \sqrt{\frac{EI}{\mu}}, \quad P_3 = \frac{62,354}{l^2} \sqrt{\frac{EI}{\mu}}.$$

რხევის საკუთარი ფორმების საპოვნელად (9) განტოლებებიდან ავირჩევთ ორ განტოლებას, მაგალითად პირველსა და მეორეს

$$(25 - \omega^2)\lambda_1 + 49\lambda_2 = -17\lambda_3;$$

$$39\lambda_1 + (81 - \omega^2)\lambda_2 = -39\lambda_3.$$

თუ აქ ჩავსვამთ $\omega^2 = 120$, მივიღებთ:

$$95\lambda_1 + 39\lambda_2 = -17\lambda_3, \quad -56\lambda_1 = -56\lambda_3.$$

$$39\lambda_1 - 39\lambda_2 = -39\lambda_3, \quad \lambda_1 - \lambda_2 = -\lambda_3.$$

ცხადია

$$\lambda_1 = \lambda_3, \quad \lambda_2 = 2\lambda_3, \quad \lambda_3 = \lambda_3.$$

აქედან მივიღებთ:

$$\lambda_1 : \lambda_2 : \lambda_3 = 1 : 2 : 3 \text{ რხევის პირველი ფორმა.}$$


თუ ჩავსვამთ $\omega^2 = 8$, მაშინ

$$\lambda_1 : \lambda_2 : \lambda_3 = 1 : 0 : -1 \text{ რხევის მეორე ფორმა. [5]}$$

ჩავსვათ $\omega^2 = 3$

$$\lambda_1 : \lambda_2 : \lambda_3 = 1 : -1 : 1 \text{ რხევის მესამე ფორმა.}$$

აღნიშნული ფორმები გამოსახულია ნახ. 2 ა, ბ, გ-ზე.



ნახ. 2

პირველი ფორმის მანორმირებული მამრავლი

$$N_1 = \frac{1}{\sqrt{1^2 + 2^2 + 1^2}} = \frac{1}{\sqrt{6}},$$

ხოლო მეორე და მესამე ფორმებისათვის

$$N_2 = \frac{1}{\sqrt{2}}, \quad N_3 = \frac{1}{\sqrt{3}}.$$


ნორმირებული საკუთარი ფორმების ამპლიტუდებისათვის გვექნება: [7],[8]

$$\text{პირველისათვის } \frac{1}{\sqrt{6}} : \frac{2}{\sqrt{6}} = \frac{1}{\sqrt{6}};$$

$$\text{მეორესათვის } \frac{1}{\sqrt{2}} : 0 : \frac{1}{\sqrt{2}};$$

$$\text{მესამესათვის } \frac{1}{\sqrt{3}} : \frac{2}{\sqrt{6}} = \frac{1}{\sqrt{6}}$$

ნახ. 1-ზე წარმოდგენილია საკვლევი ხარისხ ამწეს (KC50-42B) მათემატიკური მოდელირებით მიღებული შედეგები, ანუ ტვირთის აწევის შედეგად წარმოქმნილი პორტალის განივი რხევების შესაბამისი ოსცილოგრამები და ამწე მექანიზმის გრძივი გადაადგილებისას წარმოქმნილი ამწეს საყრდენების რხევის ოსცილოგრამები.



ნახ.1


ნახ. 1-ზე ნაჩვენებია ტვირთის მყისიერად ატაცების დროს ხარისხ ამწეს პორტალში წარმოქმნილი 7-8 ჰერცი სიხშირის რხევებისა და ტვირთის მყისიერად გაშვების შედეგად წარმოქმნილი 10-11 ჰერცის რხევების ოსცილოგრამები. როგორც ოსცილოგრამიდან ჩანს პორტალის რხევის სიხშირე იცვლება რადგან ამწეს დატვირთვის და განტვირთვის შედეგად იცვლება მთლიანი მასა. რადგან რხევის სიხშირე არ არის მაღალი, რხევის ნებისმიერი მომენტისათვის ადგილი არა აქვს ტვირთის მიერ ბაგირის დაჭიმულობის მნიშვნელოვან ცვლილებას, ანუ ტვირთი არ გამოდის ბოდებიდან.

პორტალის გრეხვითი რხევების აღმწერი განტოლებათა სისტემა წარმოდგენილია (1) დიფერენციალური განტოლებით.

$$\begin{aligned} I_1 \frac{d^2 \varphi_1}{dt^2} + f_1 \frac{d\varphi_1}{dt} + k_1(\varphi_1 - \varphi_2) &= P_1 l; \\ I_2 \frac{d^2 \varphi_2}{dt^2} + f_2 \frac{d\varphi_2}{dt} + k_2(\varphi_2 - \varphi_1) &= P_2 l; \end{aligned} \quad (1)$$

თუ დაუშვებთ, რომ აღნიშნული განტოლებათა სისტემა (1) აღწერს მხოლოდ ორ მასიან იზოლირებულ სისტემას, მაშინ ამოხსნათა გამარტივების მიზნით სისტემა (1) შესაძლებელია დაყვანილი იქნას ერთ გამარტივებულ დაყვანილპარამეტრებიან განტოლებაზე.

$$I \frac{d^2 \varphi}{dt^2} + f \frac{d\varphi}{dt} + k\varphi = Pl; \quad (2)$$




ნახ. 2. ამწეს სავალი ურიკას გრძივი რხევები, გამოწვეული პორტალის გრეხვითი დეფორმაციით

ნახ. 2-ზე ნაჩვენებია ხარისხ ამწეს გადაადგილებისას რელსზე მისი საყრდენ-სავალი ურიკას გრძივი რხევები, რომელიც გამოწვეულია პორტალის გრეხვითი


სავალი ურიკა, „ხ“ ამყოლი სავალი ურიკა. ცხადია რეალურად მხოლოდ ერთი ურიკას მეშვეობით ასეთი მასიური და დიდი გადაწვდომის ამწე მექანიზმების გადაადგილება დაუშვებელი და შეუძლებელია, რადგან ეს გამოიწვევს ძლიერ გვერდით მომენტის წარმოქმნას და შესაბამისად ხარისხა ურიკების თვლების რელსებთან დიდ ცვეთას და გაჭედვას.

ნახ. 1-ზე წარმოდგენილია ამწეს ურიკების გრძივი რხევითი მოძრაობები, რომლებიც გამოწვეულია პორტალის გრეხვითი დეფორმაციებისაგან.



ნახ. 3. პორტალის გრეხვითი დეფორმაციებისგან გამოწვეული გრძივი რხევითი მოძრაობების ოსცილოგრამები

ამწეს სავალი ურიკები მოძრაობას იწყებენ მყისიერად, მაგრამ არაერთგვაროვნად (დაყოვნებით) რაც გამოწვეულია ურიკების თვლების რელსებთან კონტაქტის (შეჭიდულობის) არაერთგვაროვნებით, რის გამოც ადგილი აქვს თვლების არათანაბარ ასრიალებას რელსებთან.



ნახ. 4. ტვირთის აწევის დროს განვითარებული პორტალის ღუნვითი რხევების ოსცილოგრამა

ნახ. 4. წარმოდგენილია ტვირთის აწევის დროს განვითარებული პორტალის ღუნვითი რხევები, რომლებიც გამოწვეულია, როგორც ამწე მექანიზმის ასაწევ ტვირთთან მყისიერად მოდებაში მოსვლით გამოწვეული გარდამავალი რეჟიმით, ისე ტვირთამწევი ძრავის მიერ წარმოქმნილი პერიოდული ციკლური ძალით (იძულებითი ძალა), რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ამწეს პორტალის რეზონანსული რხევითი რეჟიმი.

მათემატიკური მოდელირების გზით ჩატარებული დინამიკური გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ტიპის ამწეებში, ცვლადი დინამიკური დატვირთების თავიდან აცილების მიზნით გარდამავალი პროცესები სასურველია მიმდინარეობდეს მდორედ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მეტად სასურველია ამწეს პორტალი (ხიდი) შეიცავდეს რხევების მადემფერირებელ მოწყობილობას. ასევე მეტად სასურველი, რომ ხარიხა ამწეს გრძივი გადაადგილების მექანიზმის ორივე ურიკა მოძრაობაში მოდიოდეს ერთდროულად, რელსებზე ასრიალების გარეშე და მათ გააჩნდეთ რელსებთან გვერდითი დაწოლის შემარბილებელი მექანიზმი.

დასკვნა

მიღებულია ამწეს ყველაზე ინტენსიურად ცვეთადი ელემენტების-სავალი თვლების და მთლიანად ამწეს ცვეთა მედეგობის და ხანგამძლეობის ამაღლება განმზღვენი ძალების მინიმიზაციით, რაც გამოიხატება ამწეს მოცდენების და შესაბამისად რემონტზე დახარჯულ მატერიალური სახსრების 15-20%-ით შემცირებაში, რომელიც სოლიდურ თანხას შეადგენს;

“ამწე-ლიანდაგი“ მათემატიკური მოდელის რეალიზაცია, რომელიც იძლევა შესაძლებლობას:

მოვახდინოთ ამწის სავალი ლიანდაგის ნორმატიული გადახრებით და ამწის კონსტრუქციული განსაკუთრებულობებით გამოწვეული ძალების პროგნოზირება და დავადგინოთ სისტემის “ამწე-ლიანდაგი“ ექსპლუატაციისათვის საუკეთესო პირობები.

მათემატიკური მოდელირების გზით ჩატარებულია გამოკვლევების საფუძველზე ცვლადი დინამიკური დატვირთვების და რეზონანსული რეჟიმის თავიდან აცილების მიზნით, პროცესების მიმდინარეობის რეჟიმების დადგენა.

ლიტერატურა

1. Kipiani G.O. Review of works on the calculation of thin-walled spatial systems with discontinuous parameters (1980-2013)//Актуальные проблемы архитектуры, строительства, материалы V международной конференции. 25-28 июня 2013 года/ Под общей редакцией Е.Б. Смирнова, СПГАСУ. -В. 2, ч. 1. -СПБ, 2013, с. 262-267ю
2. Kipiani Gela. Definition of critical loading on three-layered plate with cuts by transition from static problem to stability problem//Contemporary Problems in Archhitecture and Construction. Selected. peer reviewed papers the 6” International Conferences on Contemporary Problems of Architecture and Construction, June 24:27, 20114: Ostrava, Czech Pespublic. Edited by Darja Kubeckoyg Trans Tech, publications LTD, Switzerland, 2014, pp. 143-150.
3. Михайлов Б.К., Кипиани Г.О. Деформированность и устойчивость пространственных

пластинчатых систем с разрывными параметрами. Стройиздат СПб. С.-Петербург, 1996. -442 с.

4. Kipiani Gela, Rajczyk Marlena, LausovaLenka. Influence of Rectangular holes on stability of three-layer plates // Applied Mechanics and Materials Vol 711 (2015) p.p. 397-401. C (2015) Trans Tech Publications, Switzerland. Doi: 10.4028/www.scientific.net/AMM.771.397
5. ზლიაძე სეით, ყიფიანი გელა, გოგოლიძე აკაკი, გოშაძე რუსუდანი. კონსტრუქციის დაღლილობაზე ანალიზი კომპლექსური პროგრამა ANSYS-ის მეშვეობით. პროფესორ გელა ყიფიანის რედაქციით. „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“. თბილისი, 2017. 232 გვ.
6. ყიფიანი გელა. რხევების გამოყენებითი თეორიის საფუძვლები გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2023. 221 გვ.
7. ვალიშვილი ნოდარ, გიორხელიძე დემურ. მასალების და კონსტრუქციების გამძლეობა. გამომცემლობა „ქისიაი“ თბილისი. 2008. 548 გვ.
8. Zdenek P. Bazant Luigi Cedolin. Stability of structures (Elastic, Inelastic, Fracture, and Damage Theories). Manufactured in the United States of America Doner Publications. Inc. 31 East 20nd Sreet. Minola NIS. 2003. → 1011 p.

რეზიუმე

ნაშრომში განიხილება ხარისხ ამწის სავალი თვლის რელსთან ურთიერთქმედების პროცესში აღმოცენებული დინამიკური ძალების, განმზღენი ძალების შემცირების საშუალებანი-ამწის საიმედოობის გაზრდის მიზნით. კლიმატური კატაკლიზმების პირობებში ამწის მდგრადობის შენარჩუნების პირობები და ტექნოლოგიური მეთოდები.

კვლევა ეხება ხარისხ ამწის საიმედოობის ამაღლებას ამწეზე მოქმედი დინამიკური ძალების შემცირების გზით.

მათემატიკური მოდელირების მეშვეობით ჩატარებული დინამიკური გამოკვლევების საფუძველზე ცვლადი დინამიკური დატვირთვების და რეზონანსული რეჟიმის თავიდან აცილების მიზნით, პროცესების მიმდინარეობის რეჟიმების დადგენა;

ამწეს სავალი თვლის გორვის ზედაპირის კონსტრუქციული ფორმის შეცვლით და სავალი კვანძისთვის ღერძული გადაადგილების შესაძლებლობის მინიჭების შედეგად განმზღენი ძალების მინიმიაზაცია, რითაც მიიღწევა თვლის ცვეთამედეგობის ხანგრძლივობის ამაღლება.

განზოგადოებულ კორდინატებით შედგენილი სისტემის “ამწე-ლიანდაგი“ მათემატიკური მოდელით ამწეს დატვირთვის სქემის ანალიზი და რეაქციების პროგნოზირების საერთო მეთოდიკის შემუშავება.

ამწეს დინამიკური მოდელის კომპიუტერული გაანგარიშებები, ალგორითმი და პროგრამები MATHLAB 9.7 და LIRA SAPR 22.

DYNAMIC STUDY OF CRANE VEHICLES

Irine Katchiuri

Georgian Technical University Master's Program in Civil Engineering

Maia Barbakadze

Assistant Professor, Department of Construction Machinery, Georgia Tech University, Academic

Doctor of Mechanical Engineering and Technology

Gela Kipiani

Professor, Department of Construction Machinery, Georgia Tech University, Doctor of

Engineering

RESUME

The article discusses ways to reduce the dynamic forces that arise during the interaction of the crane carriage with the rail, in order to increase the reliability of the crane. Conditions and technological methods for maintaining the stability of cranes in conditions of climatic disasters. The study is devoted to improving the reliability of an overhead crane by reducing the dynamic forces acting on the crane. Based on dynamic studies carried out by mathematical modeling, determine process modes in order to avoid variable dynamic loads and resonance mode;

By changing the structural shape of the crane wheel tread and allowing axial movement of the wheel hub, the resulting forces are minimized, thereby increasing the wear resistance of the wheel. Analysis of the crane load pattern using a mathematical model of the crane-rail system, composed of generalized coordinates, and development of a general methodology for predicting reactions.

Computer calculations of the dynamic model of the crane, algorithm and programs MATLAB 9.7 and LIRA SAPR 22.

**საინჟინერო-გეოლოგიური სამსახურის დროს წყვეტილპარამეტრიანი
კონსტრუქციების განვარდინება მდგრადოვანა**

ლევან ბუბუტიშვილი
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი
ფატიმა ვერულაშვილი
A classic example of modern interethnic conflict can be considered the Sinhala-Tamil conflict in Sri Lanka. Emerging long before independence in 1948, the ethno-political conflict in Sri Lanka has a fairly long history. The Sinhalese have inhabited the island of Ceylon (Sri Lanka since 1970) since the 6th century BC. Today, the Sinhalese make up about 75% of the state's population. The Tamils tried for a long time to take root on the island, which they managed to do already in the 8th century AD. Interethnic conflicts began already in the 10th century, however, they occurred without the participation of the broad masses of the population at the level of political elites.

The causes of the conflict include ideological differences and minor conflicts, the desire to appropriate limited values, historical motives, differences in religious and cultural values, and ideologies. When studying interethnic conflicts, there are three main approaches to their analysis: primordialism (the value motivation of the participants in the conflict), instrumentalism (ethnicity as a tool of group mobilization used by ethnic leaders to achieve their goals) and constructivism (the social nature of the origin of ethnicity). Particular attention is paid to the typology and main stages of development of interethnic conflicts. For example, we can typologize them as: conflict of stereotypes, conflict of ideas and conflict of actions. Other classifications of conflicts include: territorial conflicts; conflicts based on the desire for self-determination; conflicts related to claims to the territory of another state; conflicts where the main factors are of a historical nature (long-term national liberation struggle against the mother countries); conflicts resulting from deep divisions between different national communities, etc. Conventionally, an interethnic conflict can be divided into the following stages: pre-conflict stage (latent phase); suppression of discontent of the ethnic group and the return (temporary) of the conflict to a latent state or non-recognition of the fact of the existence of the conflict; recognition by the parties to the conflict of its existence; escalation or resolution of conflict; reaching the climax of the conflict; de-escalation (new exacerbations cannot be ruled out); post-conflict stage. An assessment is also made of the role and goals of international actors in conflicts of this type. Additional difficulties are created due to the

depth of contradictions between the conflicting parties, which international mediators are not able to fully understand. Sometimes states acting as mediators or supporting one of the parties pursue their own goals, neglecting the interests of the direct participants in the conflict. International organizations are also not always able to make effective decisions and prevent the development of destructive processes, including in the sphere of interethnic relations.

The current situation in Sri Lanka is actually a latent phase of interethnic conflict, but the level of tension is consistently decreasing. 13 5. In recent years, there has been a certain geopolitical turn by the United States and China towards the Pacific and Indian Ocean regions. There is already some tension in South Asia along the US-China and India-China lines. In these conditions, Sri Lanka, due to its geographical location, becomes the object of increased interest of these powers.

In conclusion, it must be noted once again that the ethnopolitical conflict in Sri Lanka is a striking example of modern interethnic conflict. Unfortunately, in such conflicts, the memory of past contradictions is passed on from generation to generation. That is why the government of the state has to do a lot of work to completely resolve this conflict and to avoid its recurrence.

ჩინეთის გეოსტრატეგიული მიზნები აფრიკაში - ურთიერთობა ზიმბაბვესთან

მარინა იზორია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/gbsab.2024.50.07>

საკვანძოსიტყვები: ჩინეთი, ზიმბაბვე, რობერტ მუგაბე, ეკონომიკური თანამშრომლობა, ვაჭრობა, ინვესტიციები, სანქციები, პოლიტიკური თანამშრომლობა, საგარეო პოლიტიკა.

შესავალი. ჩინეთი თავის საგარეო პოლიტიკას წარმოადგენს ოფიციალური სამთავრობო დოკუმენტის, ჩინეთის თეთრი წიგნის მეშვეობით. ამ დოკუმენტში ნათლად არის ნათქვამი, რომ არსებობს ჩინეთის საგარეო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები: სხვა ქვეყნებისთვის გაწეული დახმარება ხასიათდება თანასწორობით, ორმხრივი სარგებლითა და გამორიცხავს ყოველგვარ სიმკაცრეს. ჩინეთის პოლიტიკა აფრიკის მიმართ ძირითადად ორი ფაქტორზეა ორიენტირებული: პირველი, ერების სუვერენიტეტის პატივისცემა და მათი საშინაო და საგარეო საქმეებში ჩაურევლობა. მეორეც, ეს არის დახმარების სხვადასხვა პაკეტი, რომლებსაც გამოყოფს ჩინეთი აფრიკის კონტინენტისათვის. ჩინეთის დახმარების პოლიტიკის კონცეფცია მოიცავს ცხრა სექტორს: სამედიცინო სფეროს, ტექნიკურ თანამშრომლობას, საბიუჯეტო მხარდაჭერას, ჰუმანიტარულ დახმარებას, მოხალისეობრივ პროგრამებს, ინფრასტრუქტურის მშენებლობას, ადგილობრივი მოსახლეობისთვის გრანტებისა და სტიპენდიების გაცემას, დახმარებას სოფლის მეურნეობაში და ვალების მიტევებას.

კვლევის აქტუალობა. კვლევის პრობლემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ჩინეთი ბოლო ათწლეულების განმავლობაში აქტიურად ავითარებს ურთიერთობას აფრიკის ქვეყნებთან. ეს გამოწვეულია ჩინეთის პოზიციების გაძლიერებით და ქვეყნის ხელმძღვანელობის სურვილით, რომ უფრო მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში. და ამ მიზნის მისაღწევად ჩინეთი ავითარებს ურთიერთობებს არა მხოლოდ თავისი რეგიონის ქვეყნებთან, არამედ ახალ მიმართულებებთან: აფრიკა, ლათინური ამერიკა. თავისი გავლენის გასაფართოებლად ჩინეთი ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა სამხრეთ აფრიკის ქვეყნებთან, მათ შორის ზიმბაბვესთან. ქვეყანასთან, რომელსაც არ აქვს ზღვაზე გასასვლელი, მაგრამ მდიდარია მინერალური საბადოებით, წყლის რესურსებით, სოფლის მეურნეობის საკმაოდ მაღალი დონით და შემონახული ველური ბუნებით.

2000-იან წლებში დასავლეთის სანქციების შემდეგ, სწორედ ჩინეთთან თანამშრომლობა დაეხმარა ზიმბაბვეს გაუმკლავდეს კრიზისს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე. კვლევის საგანია ჩინეთისა და ზიმბაბვეს ურთიერთქმედება და თანამშრომლობა პოლიტიკასა და ეკონომიკაში 2000-2019 წლებში. კვლევის მიზანია ჩინეთ-ზიმბაბვეს თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების შეფასება 2000-2019 წლებში.

ჩინეთსა და ზიმბაბვეს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კონტექსტში. ეს მრავალმხრივი ალიანსი პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში ხელს უწყობს დიპლომატიური კავშირების განვითარებას და განმტკიცებას, რაც გავლენას ახდენს ორივე ქვეყნის საერთო კეთილდღეობაზე.

ჩინეთის მთავრობის განცხადებით, აფრიკისთვის ყოვლისმომცველი დახმარება დაიწყო მისი დეკოლონიზაციისა და ახალი ორმხრივი ურთიერთობების დამყარების პერიოდში 1960-იანი წლების დასაწყისში. 1990-იან წლებში ზიმბაბვე იყო საკვები პროდუქტების ექსპორტიორი, შემოსავლების დიდ ნაწილს ამ ექსპორტიდან ღებულობდა დაახლოებით 8000 თეთრკანიანი მესაკუთრე, რომლებიც იყვნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლები და მოგვიანებით ჩამოერთვათ მიწები. თეთრკანიანი ფერმერების მეურნეობა აწარმოებდა სასოფლო-სამეურნეო საქონლის პროდუქტების 78 %-ს.

ზიმბაბვე და ჩინეთი ხშირად აღწერენ თავიანთ კავშირებს, როგორც ისტორიულად ძლიერ ურთიერთობას, რომელსაც აქვს კარგი და რთული დრო. ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობები დამყარდა 1980 წლის 18 აპრილს, ზიმბაბვეს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს. მიუხედავად ამისა, ურთიერთობები აქტიურად არ განვითარდა თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში, ეს გამოწვეული იყო ჩინეთში შიდა ცვლილებებით დენ სიაო პინის ხელისუფლებაში მოსვლასთან ერთად, ასევე ზიმბაბვეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებით. [1]. ახალი იმპულსი გაჩნდა 2000-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მთავრობამ და ზიმბაბვეს პრეზიდენტმა რობერტ მუგაბემ მიიღეს Look East-ის პოლიტიკა.

ზიმბაბვეს მთავრობამ დასავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით მის ყოფილ მეტროპოლიასთან, დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობების გაუარესების შემდეგ გადაწყვიტა პოლიტიკის ახალი ვექტორის აღება. (კონფლიქტის მიზეზები იყო, პირველ რიგში, მიწის რეფორმა, რომელიც შედგებოდა ევროპელებისგან მიწის იძულებით გადაცემაში ადგილობრივ მოსახლეობაზე. მეორეც, დაგმეს მოსახლეობის მიმართ ძალადობა და ადამიანის უფლებების დარღვევა ზიმბაბვეს საარჩევნო რბოლის დროს 2000 წელს (საპარლამენტო არჩევნები) და 2002 წელს (საპრეზიდენტო არჩევნები). დიდმა ბრიტანეთმა, ევროკავშირმა და შეერთებულმა შტატებმა დაადანაშაულეს მუგაბეს მთავრობა ადამიანის უფლებების დარღვევაში და დააწესეს სანქციები ზიმბაბვეს ხელმძღვანელობაზე, დააწესეს ემბარგო დასავლეთიდან იარაღის მიწოდებაზე და ასევე შეამცირეს გრანტებისა და სესხების გაცემა. ამან გამოიწვია სერიოზული ეკონომიკური კრიზისი ზიმბაბვეში.[4] ინფლაციის წლიურმა მაჩვენებელმა ზიმბაბვეში 2007 წლის დეკემბერში შეადგინა 66 212 % და თვიურმა მაჩვენებელმა 240 %, ხოლო მთელი 2007 წლის მიხედვით — 100 000 %. 2009 წლის აპრილში ზიმბაბვეს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება შეაჩერებინა ზიმბაბვეს დოლარის ფუნქციონირება ერთი წლის ვადით, რადგანაც მისი ღირებულება ვერაფრით ვერ იყო უზრუნველყოფილი, რის შედეგადაც ის ფაქტობრივად გაქრა ბრუნვიდან. (2013 წლის იანვარში ქვეყნის ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასების გაცემის შემდეგ სახელმწიფო სალაროში დარჩა 217 დოლარი).

გააცნობიერა რა, რომ აუცილებელია ახალი პარტნიორების ძებნა, ზიმბაბვეს მთავრობამ 2003 წელს გამოაცხადა პოლიტიკა „მზერა აღმოსავლეთისკენ“, რაც გულისხმობდა აზიის ქვეყნებთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებას. აღსანიშნავია, რომ „მზერა აღმოსავლეთისკენ“ პოლიტიკა ჯერ კიდევ უფრო პრინციპი იყო, ვიდრე ოფიციალური საგარეო პოლიტიკის კონცეფცია, რადგან ის არ იყო რატიფიცირებული კანონით [5].

ზიმბაბვე განსაკუთრებული იმედს ამყარებდა ჩინეთზე, რადგან აფრიკული ქვეყნების მთავრობაზე შთაბეჭდილება მოახდინა ჩინეთის პოზიციამ, რომელიც გულისხმობდა პარტნიორების შიდა საქმეებში ჩაურევლობას. ასევე სასოფლო-სამეურნეო და

ნედლეულის გაყიდვის უზარმაზარმა ბაზარმა. პეკინი დაინტერესებული იყო ისეთი მინერალებით, როგორცაა ოქრო, პლატინა, ქრომი, სპილენძი, ნიკელი, კობალტი, იშვიათი ლითონები, ქვანახშირი, ურანი და ძვირფასი ქვები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სამრეწველო სექტორის განვითარებისთვის [5].

ამრიგად, 2000-იანი წლებიდან ორ ქვეყანას შორის ვაჭრობამ აქტიურად დაიწყო განვითარება. 2002 წელს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვამ 191 მილიონი დოლარი შეადგინა, უკვე 2013 წელს 1,1 მილიარდი დოლარი. აღსანიშნავია, რომ ჩინეთის ორმხრივი დახმარების უმეტესი ნაწილი დაკავშირებული იყო ჩინური წარმოშობის მასალების გამოყენებასთან, რამაც ხელი შეუწყო ჩინური პროდუქტის იმპორტის პოპულარიზაციას ზიმბაბვეში.

ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება აისახა ჩინური ფირმების რაოდენობის ზრდაში. 2005 წელს ოცდაცხრამეტიდან 2014 წელს სამოცდათორმეტამდე, რასაც თან ახლდა 200-დან 300 მცირე ჩინური კომპანიის ზრდა [იქვე, გვ. 7]. ჩინეთმა ინვესტიცია ჩადო არანაკლებ 128 პროექტში 2000 წლიდან 2012 წლამდე. ასევე დაფიქსირდა ჩინეთის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფენომენალური ზრდა, განსაკუთრებით 2009-2013 წლებში, როდესაც ის გაიზარდა \$11 მილიონიდან 602 მილიონ დოლარამდე. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები უფრო ხილდებოდნენ განვითარების პროექტების დაფინანსებას, ჩინელი ინვესტორები გამოირჩეოდნენ (განსაკუთრებით მაინინგში) ენერჯეტიკის, სოციალური ინფრასტრუქტურის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორების დაფინანსებით. 2015 წლისთვის ზიმბაბვე გახდა ჩინეთის ინვესტიციების სამი ძირითადი მიმართულებით სამიზნე აფრიკაში.

სოფლის მეურნეობის განვითარება იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სექტორი, რომელმაც განიცადა ზრდა და ცვლილება 2000 წლის შემდგომ პერიოდში, რაც გამოწვეული იყო ჩინეთის მიერ მცირე ტიპის მეურნეობის დაფინანსებით. მიწის რეფორმის ქაოტური პერიოდის შემდეგ თამბაქოს წარმოება ამ სექტორში გაფართოვდა კონტრაქტის მეურნეობის გზით, რომელსაც მხარს უჭერდა ჩინური თამბაქოს კომპანია Tian Ze [8].

ჩინეთი ამჟამად წარმოადგენს ზიმბაბვეს თამბაქოს ექსპორტის ნახევარზე მეტს, რაც წელიწადში 200 მილიონ კილოგრამს შეადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ზიმბაბვეს მთავრობა მუდმივად აფორმებდა გაუმჭვირვალე ბიზნესს და საინვესტიციო კონტრაქტებს ჩინეთთან, რითაც ძირითადად სარგებლობს მმართველი ელიტა და აძლიერებს მათ ძალაუფლებას [9]. ზიმბაბვეელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ჩინეთმა დადებითი გავლენა მოახდინა მათ შიდა ეკონომიკაზე, მხოლოდ 31% თვლის, რომ ჩინეთის გავლენა უარყოფითი იყო.

ზიმბაბვეს ამჟამინდელი მთავრობის საგარეო პოლიტიკის გასაგებად, უნდა ითქვას, რომ რობერტ მუგაბესა და მის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ ემერსონ მნანგაგვას მთავრობაში შიდა უთანხმოების შემდეგ, 2017 წლის 14 ნოემბერს სამხედრო გადატრიალება მოხდა და მასობრივმა დემონსტრაციებმა აიძულა რობერტ მუგაბე ზიმბაბვეს პრეზიდენტის პოსტს დამშვიდობებოდა. ამან გზა გაუხსნა მნანგაგვას ფიცის დასადებად, როგორც ქვეყნის მომავალ პრეზიდენტს 2017 წლის 24 ნოემბერს. არჩევნები გამორჩეული იყო იმით, რომ 16 წლის განმავლობაში პირველად მთავრობამ დაუშვა ქვეყანაში წინასაარჩევნო მოვლენებზე ევროკავშირისა და აშშ-ს დამკვირვებლები, რაც შეიძლება განიმარტოს, როგორც საწყისი ნიშანი იმისა, რომ ახალი ადმინისტრაცია განაახლებდა მოლაპარაკებებს დასავლეთის ქვეყნებთან. 2017 წელს პრეზიდენტ მნანგაგვას ინაუგურაციის სიტყვაში მან ხაზგასმით

აღნიშნა, რომ მისი ადმინისტრაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა იქნებოდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. მისი საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგი ორიენტირებული იქნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, ექსპორტზე, სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნასა და ახალი პროგრამის ფორმირებაზე. ასევე დააანონსა ხელახალი ჩართულობა მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან და ახალი ურთიერთობების დამყარება.

აღსანიშნავია, რომ მისი პირველი მოგზაურობა აფრიკის გარეთ, როგორც სახელმწიფოს მეთაური იყო 2018 წლის აპრილში, როდესაც ის სახელმწიფო ვიზიტით ეწვია პეკინს პრეზიდენტ სი ძინპინთან შესახვედრად, რათა გამოეხატა მადლიერება დასავლეთის სანქციების დაწესების შემდეგ მიღებული მხარდაჭერისთვის. გარდა ამისა, მწანგაგვამ გამოეხატა ინტერესი ჩინეთთან ეკონომიკური კავშირებისა და ინვესტიციების გაძლიერებაზე, მათ შორის, Belt and Road ინიციატივაში მონაწილეობით. ამ მოგზაურობის ფარგლებში, ჩინეთისა და ზიმბაბვეს მთავრობები შეთანხმდნენ ქვეყნებს შორის ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის დამყარებაზე. ვაჭრობა, ინვესტიციები, ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები, ინფრასტრუქტურა და ადამიანთა შორის გაცვლა. ანალოგიურად, პრეზიდენტმა სი ძინპინმა მოუწოდა „დასავლეთის ქვეყნებსა და ორგანიზაციებს, რაც შეიძლება მალე გააუმჯობესონ ურთიერთობები ზიმბაბვესთან“.

ამრიგად, ზიმბაბვეში ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, პეკინი რჩება ჰარარეს სტრატეგიულ პარტნიორად, რადგან ბევრი პირდაპირი ინვესტიცია, სესხი და ფინანსური დახმარება ძირითადად მიმართული იყო ამჟამინდელი ადმინისტრაციის მიერ შექმნილ ყველაზე მნიშვნელოვან სექტორებზე. მაგალითად, გრანტების უმეტესობა მიზნად ისახავს ენერჯის წარმოებისა და მომარაგების ინფრასტრუქტურის განვითარებას, ხოლო წყალმომარაგებამ და სანიტარიამ მიიღო ყველაზე დიდი მოცულობის შეღავათიანი სესხები. ჩინეთის კომერციული სესხების თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი თანხა, შეფასებული \$341,300,000, იყო სოციალური ინფრასტრუქტურისთვის, როგორცაა ზიმბაბვეს მოძველებული წყლის გამწმენდი და განაწილების სისტემის რეაბილიტაცია, Victoria Falls აეროპორტის განახლება და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული NetOne მობილური ქსელის გაფართოება. სოფლის მეურნეობა და ჯანდაცვა მეორე და მესამე სექტორებია, რომლებმაც, შესაბამისად, ყველაზე მეტი სესხი მიიღეს. ფაქტობრივად, 2017-2019 წწ. ზიმბაბვეს მიეწოდა ახალი ჩინური გრანტები, სესხები და ინვესტიციები, რამაც ხელი შეუწყო ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცებას. ასევე ჩინეთმა გასცა \$47,058,000 გრანტი ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, მთავრობისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სექტორებისთვის, ასევე შეღავათიანი სესხები ტრანსპორტისთვის, ჯამში \$153 მილიონი. გარდა ამისა, 2019 წელს განხორციელდა ახალი და დიდი პირდაპირი ინვესტიციები ჰიდროენერგეტიკულ პროექტებში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების გაფართოების, სადისტრიბუციო ქსელების განახლებისა და რეაბილიტაციის მიზნით, განსაკუთრებით თერთმეტ გარეუბანში, და ახალი წყალსაცავის ტუმბოების აშენება, წყალმომარაგების პროექტების განხორციელება.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები სტაბილურია, მიუხედავად ზიმბაბვეს ინტერესების გაფართოებისა დასავლეთის მიმართ. ზიმბაბვესთვის ჩინეთთან ორმხრივ ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ეკონომიკის სფეროში.

უფრო მეტიც, იმის გამო, რომ ჩინეთი რჩება ზიმბაბვეში მთავარ უცხოურ ინვესტორად, პრეზიდენტ ემერსონ ნანგაგვას ადმინისტრაცია, სავარაუდოდ, გააგრძელებს ურთიერთობების გაძლიერებას PRC-თან, რათა მოიზიდოს მეტი ჩინური

პირდაპირი ინვესტიცია ქვეყანაში.

მაშინაც კი, თუ მთავრობა შეეცდება აღადგინოს ურთიერთობები დასავლეთთან, როგორც მისი ეროვნული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ნაწილი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჰარარე აპირებს დისტანცირებას პეკინისგან, რომელიც ორმოც წელზე მეტია ჩამოყალიბდა სტრატეგიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარტნიორად. არსებობს ნიშნები იმისა, რომ ჩინეთსა და ზიმბაბვეს შორის ურთიერთობები უფრო მეტად ვითარდება და მყარდება, ვიდრე წინა წლებში რობერტ მუგაბეს ადმინისტრაციის პირობებში. ამავდროულად, მონაცემები აჩვენებს, რომ ჩინეთის მთავრობა არ განიხილავს ზიმბაბვეს დასავლეთის ქვეყნებთან ხელახლა ჩართვის პოლიტიკას, როგორც რეალურ კონკურენციას შეერთებულ შტატებთან ან ევროკავშირთან, რადგან ჩინეთისა და დასავლეთის ეკონომიკური ყოფნა ჰარარეში კონცენტრირებულია სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, თუ აშშ-ს დახმარება უპირველეს ყოვლისა ფოკუსირებულია ჯანდაცვისა და დემოკრატიის სექტორებზე, ადამიანის უფლებებსა და მმართველობაზე და სხვა გრანტებზე ჰუმანიტარული დახმარების, ეკონომიკური განვითარების, განათლების, მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის და გარემოზე. ამის საპირისპიროდ, ჩინური გრანტები გამოიყო ენერჯის წარმოებისა და მიწოდების ინფრასტრუქტურის გასავითარებლად, ხოლო წყლისა და კანალიზაციის სერვისებამიიღეს მნიშვნელოვანი ოდენობით შეღავათიანი სესხები. ასევე ჩინური ინვესტიციები ორიენტირებულია ენერჯის წარმოებასა და მიწოდებაზე, ძირითადად ჰიდროენერგეტიკული ინფრასტრუქტურის, სამთო მოპოვების, მძიმე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში.

ბიბლიოგრაფია:

[1]. Bräutigam D. *The Dragon's Gift: The Real Story of China in Africa*. New York: Oxford University Press, 2009.

[2]. Moyo, L. & Tsakata Mafuso, L. The effectiveness of foreign aid on economic development in developing countries: A case of Zimbabwe (1980-2000). *Journal of Social Sciences*. 2017. 52(1-3). 173-187.

[3]. Салахетдинов Е.Р. Влияние внешних факторов на кризис в Зимбабве в начале XXI века. *Дисс.* 2015.

[4]. Салахетдинов Э.Р. Зимбабве и Китай: риски и преимущества сотрудничества // *Азия и Африка сегодня*. 2014. № 9. С. 54-60.

[5]. Zhang C. *China-Zimbabwe Relations: A Model of China-Africa Relations?* // SAIIA Occasional Paper. 2014. №. 205.

[6]. Sachikonye, L. *Zimbabwe and China*. In Hartmann, C., & Noesselt, N. (eds), *China's New Role in African Politics: From Non-intervention towards Stabilization?* Taylor & Francis, London. 2019.

SUMMARY

CHINA'S GEOSTRATEGIC AIMS IN AFRICA - RELATIONS WITH ZIMBABWE

MARINA IZORIA

According to the Chinese government, the beginning of comprehensive aid to Africa began during the period of its decolonization and the establishment of new bilateral relations in the early 1960s.

In this article we will look at the main areas of cooperation between China and Zimbabwe. Zimbabwe and China often describe their ties as a historically strong "all-weather" relationship that has seen both good and difficult times. Bilateral relations between the countries were established on April 18, 1980, the day Zimbabwe declared independence. Nevertheless, relations did not actively develop for almost two decades, this was due to internal changes in China with the rise of Deng Xiao Ping to power, as well as the emergence of Zimbabwe as an independent state [1]. A new impetus came in the early 2000s, when the government and Zimbabwean President Robert Mugabe adopted the Look East policy.

The government of Zimbabwe decided to adopt a new policy vector after the deterioration of relations with Western countries, especially with its former metropolis, Great Britain. The causes of the conflict were, firstly, land reform, which consisted of the forced transfer of land from Europeans to the local population. Secondly, violence against the population and violations of human rights during the electoral race in Zimbabwe in 2000 (parliamentary elections) and 2002 (presidential elections) were condemned. Great Britain, the European Union and the United States accused the Mugabe government of violating human rights and imposed sanctions on the leadership of Zimbabwe, imposed an embargo on arms supplies from the West, and also reduced the issuance of grants and loans. This led to a serious economic crisis in Zimbabwe.

Realizing that it is necessary to look for new partners, the government of Zimbabwe in 2003 proclaimed the "Look to the East" policy, implying a reorientation and intensification of political and economic relations with Asian countries. It is worth noting that the "Look East" policy was still more of a principle than an official foreign policy concept, since it was not ratified by law.

Zimbabwe placed particular hope in China, since the African government was impressed by China's position of non-interference in the internal affairs of its partners, as well as the huge market for the sale of agricultural and raw materials. Beijing was interested in minerals such as gold, platinum, chromium, copper, nickel, cobalt, rare metals, bauxite, coal, uranium and precious stones, which can be used to develop the industrial sector.

Thus, since the 2000s. Trade between the two countries began to actively develop. In 2002, trade turnover between the two countries amounted to \$191 million, and already in 2013 it amounted to \$1.1 billion. It is worth noting that most of China's bilateral assistance was associated with the use of materials of Chinese origin, which contributed to the promotion of Chinese imports into Zimbabwe.

China is currently the destination for more than half of Zimbabwe's tobacco exports, amounting to over 200 million kilograms per year. It should also be noted that, according to some researchers, the Zimbabwean government has consistently entered into opaque business and investment contracts with China, which mainly benefit the ruling elites, strengthening their power [9]. A majority of Zimbabweans believe China has had a positive impact on their domestic economy, while 31 percent believe China's impact has been negative.

To understand the foreign policy of the current Zimbabwean government, it must be said that

after internal disagreements in the government of Robert Mugabe and his ex-vice president Emmerson Mnangagwa, a military coup took place on November 14, 2017, and mass demonstrations forced Robert Mugabe to resign as president of Zimbabwe. This paved the way for Mnangagwa to be sworn in as the future president of the African country on November 24, 2017. The elections were notable because for the first time in 16 years the government allowed the EU and the US to observe pre-election events in the country, which can be interpreted as an initial sign that the new administration is resuming negotiations with Western countries in connection with restrictions imposed in the early 2000s. In President Mnangagwa's inauguration speech in 2017, he emphasized that the main driver of his administration would be the country's economic development. His foreign policy agenda focused on attracting foreign direct investment, exports, the creation of special economic zones, and the formation of a program of re-engagement with all countries of the world, commitment to repay debts and an active interest in establishing new relationships.

In conclusion, we can say that relations between the two countries are stable, despite the expansion of Zimbabwe's interests towards the West. For Zimbabwe, bilateral relations with China are of great importance in the field of national economics. Moreover, as China remains a major foreign direct investor in Zimbabwe, President Emmerson M Nangagwa's administration is likely to continue strengthening relations with the PRC to attract more Chinese direct investment into the country.

Key words: China, Zimbabwe, Robert Mugabe, economic cooperation, trade, investments, sanctions, political cooperation, foreign policy.

სამშენებლო პროდუქტის ხარისხის შეფასების მარშენებლები მომხმარებელთა კვლევა

მაია ჭანტურია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამშენებლო ფაკულტეტი, პროფესორი
ალექსანდრა მამარდაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამშენებლო ფაკულტეტი, აკადემიური
დოქტორი

DOI: <https://doi.org/10.52340/gbsab.2024.50.01>

საკვანძო სიტყვები: სტანდარტიზაცია, აკრედიტაცია, ხარისხის ინფრასტრუქტურა, საიმედოობა, ნულოვანი ჰიპოთეზა.

სამშენებლო სფეროში დიდი კონკურენციისა და საზოგადოების მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება შენობა-ნაგებობების დაპროექტება და მშენებლობის განხორციელება მაღალი ხარისხით ევროსტანდარტების შესაბამისად. ჩვენი ქვეყნისთვის სამშენებლო ბიზნესი ითვლება ერთ-ერთ წარმატებულ მიმართულებად. აღნიშნულ სექტორში სულ უფრო მზარდი პროგრამების ეფექტური განხორციელების მიზნით სახელმწიფო ხელს უწყობს სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, გამოცდების და ხარისხის შეფასების ნებაყოფლობითი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც გამოყენებული იქნება მისი ძირითადი ფუნქციის განსახორციელებლად, რაც გულისხმობს ტექნიკური რეგულაციების საფუძველზე ჯანმრთელობის, სიცოცხლის, გარემოს და საკუთრების დაცვის უზრუნველყოფას სამშენებლო-საინვესტიციო პროექტის განხორციელების ყველა სტადიაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობა საქართველოში ვითარდება, მომხმარებელს მაინც უჩნდება კითხვა, იყიდოს თუ არა მშენებარე ბინა, დასრულდება თუ არა მშენებლობა დეველოპერის მიერ დადგენილ ვადებში, რამდენად მდგრადი, მტკიცე და საიმედოა ნაგებობა, რამდენად სწორად არის შესრულებული დაგეგმარება, არის თუ არა გათვალისწინებული სეისმურად აქტიური ზონები (საქართველო, კერძოდ თბილისი 8-ბალიან სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობს) და ა.შ.

სამშენებლო სექტორში ბაზრის მიერ წაყენებული ახალი გამოწვევები, კონკურენცია, მომხმარებლებისგან და დამკვეთებისაგან გაზრდილი მოთხოვნები, სერტიფიცირების მეთოდების და სტანდარტების ცვლილებები ახალი ამოცანების წინაშე აყენებს სამშენებლო ინდუსტრიის საბოლოო პროდუქტის მწარმოებელს, ხოლო შესაბამისად მიღებული შედეგების სწორად შესაფასებლად აუცილებელია შემუშავდეს მაჩვენებელთა სისტემები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება როგორც ცაკლეული კვანძების, ასევე საბოლოო პროდუქტის ხარისხის შეფასება. ხარისხის მაჩვენებელთა სისტემა აღწერს სამშენებლო პროდუქტის ნიშანთვისებებს, რომლებიც იძლევიან მიღებული შედეგების როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივი შეფასების საშუალებას.

როგორც წესი, ერთი მაჩვენებელი რაოდენ სრულყოფილი და ტევადიც არ უნდა იყოს იგი, არ იძლევა სამშენებლო პროდუქტის სრულყოფილად აღწერის საშუალებას. შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილების რაოდენობა დამოკიდებულია შესაფასებელი კონსტრუქციისა თუ მისი ცაკლეული კვანძის სირთულეზე და სამშენებლო პროდუქტის ხარისხის საბოლოო მაჩვენებელში მის წვლილზე. შეფასების

კრიტერიუმის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ისინი სხვადასხვაგვარია, მათ მიერ მიღებული შედეგები სხვადასხვა განზომილების ერთეულებშია წარმოდგენილი, ზოგი მაჩვენებლის საბოლოო შედეგი მხოლოდ პროდუქტის ანა თუ იმ თვისების აღწერით ინფორმაციას იძლევა [1,2,3]. მაჩვენებელთა ერთი ჯგუფის შეფასებები ატარებს სუბიექტურ ხასიათს და მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული როგორც დამკვეთის მიერ შემფასებელთა გუნდის წევრების, ასევე შემსრულებლების და მომხმარებლების შეხედულებებზე.

სამშენებლო სექტორის მარკეტინგული კვლევების შედეგად, შესაბამისი ინფორმაციის შეფასებით და ანალიზით გამოვლენილ იქნა თვისებების ერთობლიობა, რომელიც დადგენილია პროდუქციის ხარისხის საბოლოო კონკრეტული რაოდენობრივი მაჩვენებლის მეშვეობით. ესენია: სოციალური ნიშან-თვისებები; ფუნქციონალური თვისებები; საიმედოობა; ესთეტიკური თვისებები; რეგიონალური თვისებები; ხანგამძლეობა; ექსპლუატაციაში მოხერხებულობა; ტექნოლოგიურობა; შეკეთების მიმართ მოხერხებულობა; ეკოლოგიურობა; ეკონომიური თვისებები.







მშენებლობაში ხარისხის შეფასების მაჩვენებლები ერთმანეთთან სისტემურ კავშირში არიან და მათი საჭიროება ვლინდება საინვისტიციო სამშენებლო ციკლის ანა თუ იმ ეტაპზე: წინასაპროექტო და პროექტირების ეტაპი; სამშენებლო მასალების წარმოება; სამშენებლო კონსტრუქციების წარმოება; საორგანიზაციო-ტექნოლოგიური დოკუმენტაციის მომზადება; სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოება; ნაგებობის ექსპლუატაცია, მომსახურება, შენახვა, რემონტი.[4,5]

ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია შენობა-ნაგებობის საიმედო მუშაობასთან. ევრონორმებში, კერძოდ, Eurocode 1. ENV 1991-1. Basis of Design and Actions on Structures. Part I – Basis of Design, CEN, 1994 (2000) (დატვირთვები და ზემოქმედებები), ასევე ISO სტანდარტებში ISO/TC 98, ST 2394. General Principles on Reliability of Structures, 1994, მოცემულია საიმედოობისა და უსაფრთხოების ის ზომები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე შენობა. საქართველოში უკანასკნელ წლებში ევრონორმების მოთხოვნების შესაბამისად გაიზარდა სკოლების, საბავშვო ბაღების და საავადმყოფოების შენობების საიმედოობა, რაც გამოიხატება საიმედოობის კოეფიციენტების გაზრდაში.


სტატიის კვლევით ნაწილში განხილულია მომხმარებელთა შეხედულებების კვლევა. მომხმარებელთა შეხედულებების კვლევისათვის შემთხვევითი შერჩევის გზით გამოიკითხა 150 პიროვნება უძრავი ქონების მიმართ მოთხოვნის დასადგენად, რომელთა გამოკითხვაც მოხდა სატელეფონო ინტერვიუს საშუალებით. გამოკითხვის შედეგები მოცემულია გრაფიკების სახით (ნახაზი 1):

იმისთვის, რომ მოცემული კვლევის განზოგადოება შესაძლებელი ყოფილიყო, უძრავი ქონებით დაინტერესებულ პირთა მთელ სიმრავლეზე (შემდეგში პოპულაცია), მოვახდინეთ ზემოთ მოყვანილ კვლევაზე ჰიპოთეზების შემოწმება.

რადგან გამოკითხულ პირთა რაოდენობა აღემატება 30-ს, შესაძლებელია შერჩევა მიჩნეულ იქნეს ნორმალურ განაწილებად და ჰიპოთეზის შემოწმება მოხდება Z-ცხრილის მეშვეობით. ჰიპოთეზის შემოწმების დროს ადგილი აქვს ორი ტიპის შეცდომას: I ტიპის შეცდომა, როდესაც ნულოვანი ჰიპოთეზა სწორია, მაგრამ შემოწმება უჩვენებს, რომ ის არ არის სწორი და ხდება მისი უარყოფა; II ტიპის შეცდომა, როდესაც არ ხდება ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფა, მაგრამ ის არ არის სწორი. ორივე შეცდომის შემთხვევაში ყურადღება ექცევა α -ს თუ ის საკმაოდ პატარაა, დიდია მეორე ტიპის შეცდომის ალბათობა, ნულოვანი ჰიპოთეზის ნებისმიერი მნიშვნელობა ვარდება სანდოობის ინტერვალში, ხოლო თუ α -ს მნიშვნელობა მაღალია, პირველი ტიპის შეცდომის ალბათობა იზრდება, სწორი ჰიპოთეზის მნიშვნელობა ვარდება სანდოობის



ჰიპოთეზა N1: საშუალოდ მთლიანი პოპულაცია ტექნიკურ რეგლამენტს ანიჭებს პრიორიტეტის მიხედვით 4.7 ქულას და მეტს.



ნახაზი 2. ჰიპოთეზა N1.

$$H_0 \leq 4.7$$

$$H_1 > 4.7$$


$$\alpha = 0.05 = 1.65$$

$$\frac{\bar{X} - \mu}{\sigma/\sqrt{n}} = 2.42 = Z$$

$$Z > \alpha$$

ნულოვანი ჰიპოთეზა არ არის სწორი, ასე რომ დაშვება მთელი პოპულაციისთვის პრიორიტეტულია, ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებული უსაფრთხოების დაცვა სწორია, მომხარებლები პირველ რიგში ითხოვენ ტექნიკურ რეგლამენტს.

ჰიპოთეზა N2: საშუალოდ მთლიანი პოპულაციისთვის სტანდარტები ნაკლებად პრიორიტეტულია და მას პრიორიტეტების მიხედვით 3.4 ქულას და ნაკლებს ანიჭებენ.



ნახაზი 3. ჰიპოთეზა N2

$$H_0 \geq 3.4$$

$$H_1 < 3.4$$

$$\alpha = 0.05 = -1.65$$

$$\frac{\bar{X} - \mu}{\sigma/\sqrt{n}} = -2.34 = Z$$

$$Z < \alpha$$

ნულოვანი ჰიპოთეზა არ არის სწორი და და მოცემული ჰიპოთეზის შემოწმებაც ამყარებს პირველ ჰიპოთეზას. (ცხრილი 1).

მომხმარებელთა კვლევაში მოცემული ჰიპოთეზების შემოწმება იმაზე მიუთითებს, რომ ბინების შესყიდვით დაინტერესებული ადამიანების მთლიანი რაოდენობისთვის პრიორიტეტულია ადგილმდებარეობა და ხარისხი, შემდეგ მოდის დაბალი ფასი, შემდეგ - რამდენად დროულად შენდება და რა გარანტიები ექნებათ რომ აშენდება, და მხოლოდ ამის შემდეგ - გეგმარება.

ის, თუ რას ნიშნავს მომხმარებლისთვის ხარისხი, ასევე განხილულია პირველი და მეორე ჰიპოთეზების შემოწმების შედეგებში, საბოლოო ჯამში კი სტატისტიკური კვლევის განზოგადება დაახლოებით ერთსა და იმავე დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს, რომ ქართველ მომხმარებელს ნაკლებად აქვს მოთხოვნა სტანდარტებზე. მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით უკვე ბევრი სამშენებლო კომპანია ცდილობს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვას, ხოლო ტექნიკური რეგლამენტი ადამიანის უსაფრთხოებასა და გარემოს დაცვაზე სამშენებლო კომპანიებისთვის სავალდებულოა, მომხმარებელს მაინც აუცილებელ საჭიროებაზე აქვს მოთხოვნა, რაც

გარკვეულწილად უნდობლობით არის გამოწვეული.

ხარისხი		გარანტიები და რამდენად დროულად შენდება	
Mean	3.98	Mean	1.78
Standard Error	0.17	Standard Error	0.17
Median	5.00	Median	1.00
Mode	5.00	Mode	-
Standard Deviation	2.07	Standard Deviation	2.07
Sample Variance	4.29	Sample Variance	4.29
Kurtosis	(0.40)	Kurtosis	(0.94)
Skewness	(0.99)	Skewness	0.73
Range	6.00	Range	6.00
Minimum	-	Minimum	-
Maximum	6.00	Maximum	6.00
Sum	597.00	Sum	267.00
Count	150.00	Count	150.00

ცხრილი 1. სტატისტიკური მონაცემები 1,2 ჰიპოთეზისთვის მოხდა 9 ნულოვანი ჰიპოთეზის შემოწმება.

რაც შეეხება ადგიმდებარეობას, რაც გამოკითხვის მიხედვით საკმაოდ პრიორიტეტულად მიიჩნევა, უფრო, ალბათ, ქართველი მომხარებლის სტერეოტიპულობის შედეგია, რომელიც ცენტრში ცხოვრებას უფრო პრესტიჟულად მიიჩნევს, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას აქცევს გეგმარებას, და კომფორტულად მოწყობილ, სტანდარტების მიხედვით აშენებულ ბინას.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობამ ხარისხის შემოწმების კუთხით დაქირავებულ კერძო ექსპერტს მეტი ნდობა გამოუცხადა, ვიდრე სახელმწიფოს. თუ მთლიანი კვლევის შედეგებს შევაჯამებ, ქართველი მომხარებლისთვის ჯერ კიდევ უცნობია ხარისხის ინფრასტრუქტურის ელემენტების მნიშვნელობა, მაგრამ იცის რომ სტანდარტების გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე ხარისხის შემოწმებისას კერძო ექსპერტს მეტი ნდობა აქვს, ვიდრე სახელმწიფოსას, რაც ამ კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯია, ქართველი მომხმარებლის მოთხოვნები უფრო დახვეწილია და სურს ექსპერტმა და საქმის პროფესიონალმა განახორციელოს საექსპერტო სამუშაოები, და არა სახელმწიფოს მიერ დაქირავებულმა პირმა. ექსპერტებს შორის კონკურენცია უნდა იყოს ექსპერტის ცოდნიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, და მომხარებელს უნდა ჰქონდეს საშუალება აირჩიოს ის ექსპერტი, რომელიც მისი შეხედულებით უფრო კომპეტენტურია.

აღნიშნული კვლევის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველი მომხმარებლის უმეტესობა დაინტერესებულია, თუ როგორ და რა ხარისხით შენდება დღესდღეობით მიმდინარე ახალი პროექტები, ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ გამოკითხული მომხმარებლების უმეტესობა არ იყო დაინტერესებული ბინის შეძენით, მაგრამ აბსოლიტური უმრავლესობა ერთხელ მაინც დაინტერესდა, რამდენად ხარისხიანად შენდება კონკრეტული დეველოპერული პროექტი.

როგორც კვლევამ აჩვენა, მომხმარებელი კერძო სექტორისადმი მეტ ნდობას იჩენს და სურს დაქირავებულმა კერძო ექსპერტმა დაადასტუროს ხარისხი, ვიდრე სახელმწიფომ და თავად კომპანიამ. აღნიშნული კვლევის გათვალისწინებით, კარგი

იქნება თუ ისეც მოხდება სხვა ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინება და ჩამოყალიბდება კერძო სამსახური, რომელიც დაადასტურებს სამშენებლო პროექტების ხარისხს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. EUROPEAN STANDARD . (2005, 12). Eurocode - Basis of structural design . EN 1990:2002+A1 . approved by CEN on 29 November 2001.
2. EUROPEAN STANDARD. (2002, 04). Eurocode 1: Actions on structures - Part 1-1: General actions -. EN 1991-1-1 . approved by CEN on 30 November 2001.
3. მამარდაშვილი, ა., & ჭანტურია, მ. (2015). ხარისხის ინფრასტრუქტურა სამშენებლო ბიზნესში. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, 137-139.
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2012). რა უნდა ვიცოდეთ და რისთვის მჭირდება ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურა. (გზამკვლევი).

რეზიუმე

ხარისხის ინფრასტრუქტურის განვითარება და საერთაშორისო დონეზე მისი აღიარება წარმოადგენს ნებისმიერი პროდუქციის თუ მომსახურების მსოფლიო ბაზარზე თავისუფალი მიმოქცევის გარანტს. სამშენებლო კომპლექსის მომსახურე საწარმოებსა და ორგანიზაციებში ტექნიკურმა და ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, ბაზრების დივერსიფიკაციამ, სამშენებლო სფეროში უსაფრთხოების გამკაცრებულმა პირობებმა დღის წესრიგში დააყენა ხარისხის ინფრასტრუქტურის არა მარტო განვითარება, არამედ მისი ყველა შემადგენელი ელემენტის - სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, აკრედიტაციის, გამოცდების და ხარისხის სისტემის გამოყენებისას ექვივალენტური წესების შემოღება.

ნაშრომში გამოკვლეულ იქნა, თუ რა დოზით და რა ფორმით იყენებენ საქართველოში არსებული სამშენებლო თუ დეველოპერული კომპანიები ხარისხის ინფრასტრუქტურის ელემენტებს. ამ მიზნით ჩატარდა უძრავი ქონების შესყიდვით დაინტერესების კვლევა, რომელმაც გვიჩვენა, რომ ქართველი მომხარებლისთვის ჯერ კიდევ უცნობია ხარისხის ინფრასტრუქტურის ელემენტების მნიშვნელობა, მაგრამ იციან, რომ სტანდარტის გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია სამშენებლო-საინვესტიციო პროექტების განხორციელების ყველა ეტაპზე.

RESUME

Development of quality infrastructure and its international recognition is a guarantee for free circulation of any industrial products on the world market. The process of globalization, diversification of markets, stricter security conditions put on the agenda not only the development of the quality infrastructure, but also the introduction of equivalent rules in the use of all its elements - standardization, metrology, accreditation, examinations and the quality system.

In the paper, it was investigated in what dose and in what form the construction and development companies in Georgia use quality infrastructure elements. For this purpose, the following was conducted a study of real estate purchasers, which showed us that Georgian customers still do not know the importance of quality infrastructure elements, but they know that the use of the standard is very important.